



ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

## რეკომენდაციები

# “ციფრული მაუწყებლობის დახმარების სახელმწიფო სტრატეგიის განსაზღვრისათვის”

იანვარი, 2013 წელი

ავტორი: უჩა სეთური

რედაქტორი: გიორგი კლდიაშვილი

წინამდებარე კვლევაზე ვრცელდება ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) საავტორო უფლებები. დაუშვებელია კვლევის ან კვლევის ნაწილის გამოყენება კომერციული ან სხვა მიზნებით ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) ნებართვის გარეშე.

© ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). 2013 წელი. ყველა უფლება დაცულია

## სარჩევი:

შესავალი .....	3
1. სახელმწიფო სუბსიდირების ზოგადი მიმოხილვა და მიმართულებები.....	5
1.1 სახელმწიფო დახმარების ბენეფიციარები.....	5
1.2 ზომები, მიმართული ბოლო მომხმარებლის მოწყვლადობის აღმოსაფხვრელად.....	8
1.3 მაუწყებლების, ციფრული მაუწყებლობის საეთერო ქსელების ოპერატორების დაფინანსების მიმართულება .....	12
2. გაციფრულების დაფინანსების რეგულირება ევროკავშირის დონეზე .....	15
2.1 ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების რეგულაცია.....	15
2.2 ევროკომისიის პრაქტიკა და განმარტებები .....	17
3. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გაციფრულების სტრატეგიები .....	21
3.1 ბოსნია და ჰერცეგოვინა (მოსახლეობა: 3 800 ათასი).....	21
3.2 ხორვატია (მოსახლეობა: 4 200 ათასი).....	22
3.3 ალბანეთი (მოსახლეობა: 2 800 ათასი) .....	25
3.4 ავსტრია (მოსახლეობა: 8 400 ათასი).....	25
3.5 უნგრეთი (მოსახლეობა 9.9 მილიონი ) .....	28
3.6 იტალია (მოსახლეობა 60 მილიონი).....	30
3.7 მონტენეგრო ( მოსახლეობა 600 ათასი).....	31
4. რეკომენდაციები საქართველოს გაციფრულების პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად დახმარების კუთხით .....	32
4.1 დაფინანსება მომხმარებლის დონეზე .....	32
4.2 დაფინანსება მაუწყებლებისათვის და საქსელო ოპერატორებისათვის .....	34
წყაროები: .....	36

## შესავალი

საქართველოს ანალოგური მაუწყებლობის პლატფორმიდან მიგრაცია ციფრული მაუწყებლობის პლატფორმაზე წარმოადგენს პროცესს, რომელიც საეთერო კონტენტის ხარისხობრივი მაჩვენებლების გარდა, ბოლო მომხმარებელთან ინტერაქტიული ურთიერთობის საშუალებას იძლევა. საქართველოს მიერ აღებული ევროპული კურსი, მას გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს, მათ შორის ITU-ს GE06 შეთანხმებაც, თუმცა ამ ვალდებულების შესასრულებლად უმნიშვნელოვანესია გაანალიზდეს ის რეგულირება და წესები, რომლებიც ევროპის კავშირმა დაადგინა მისი წევრი სახელმწიფოებისათვის, რაც ჩვენთვისაც მნიშვნელოვანია, ასევე ის ფაქტობრივი მდგომარეობა, რომელშიც საქართველო იმყოფება.

ჩვენი ნორმების ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია, ევროკავშირსა და საქართველოს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ნაწილია. შეთანხმების თანახმად საქართველო უნდა ეცადოს ეტაპობრივად მიუახლოვოს საკუთარი კანონმდებლობა ევროკავშირისას. ამავე მუხლში ჩამოთვლილია ის სფეროები, რომლებიც უნდა მოიცვას საკანონმდებლო ჰარმონიზაციამ, მათ შორის საინვესტიციო მიმართულება, კონკურენციის მიმართულება, მომხმარებელთა უფლებების დაცვა.

შეთანხმების დადების შემდგომ საქართველოს ხელისუფლებამ გადადგა მთელი რიგი ნაბიჯები ამ მიმართულებით. 1997 წლის 2 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება N828-ის, რომლის თანახმადაც, 1998 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ყველა კანონი და სხვა ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს ევროპის კავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებსა და ნორმებს.

სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით შემუშავებულ იქნა საქართველოს კანონმდებლობის ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის სტრატეგია, რომელიც დამტკიცებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 14 ივნისის #613 განკარგულებით. შემდგომ ეტაპს საქართველოს კანონმდებლობის ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ეროვნული პროგრამის შემუშავება წარმოადგენდა. პროგრამაზე მუშაობა 2001-2003 წლებში მიმდინარეობდა. 2004 წლის 8 მაისის განკარგულებით საქართველოს მთავრობის მიერ მოწონებულ იქნა საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ეროვნული პროგრამა.

საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების პროცესს ახალი ბიძგი მისცა 2006 წლის ნოემბერში ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირ-საქართველოს სამოქმედო გეგმის (ENP AP) მიღებამ. აღნიშნული გეგმით დაისახა მხარეთა შორის თანამშრომლობის ახალი პრიორიტეტები, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის კუთხით. აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საკანონმდებლო დაახლოების არეალი უფრო ფართოა, ვიდრე პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების 43-ე მუხლის მოქმედების სფერო. სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებული რეფორმები ფაქტობრივად იმ რეფორმების გაგრძელებაა, რომელსაც "საქართველოს კანონმდებლობის ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ეროვნული პროგრამის" ფარგლებში ჩაეყარა საფუძველი.

2004 წლის აგვისტოში შემუშავდა საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების 2004-2006 წლების ერთიანი სამოქმედო გეგმა. ეროვნული პროგრამის განხორციელება სხვადასხვა სექტორში წარმატებით განხორციელდა ელექტრონული კომუნიკაციების, ასევე მაუწყებლობის სფეროშიც. 2007 წლიდან კანონმდებლობის ჰარმონიზაცია გაგრძელდა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საქართველო ევროკავშირის სამოქმედო გეგმის (ENP AP) შესაბამისად.

ცალსახაა, რომ გაციფრულების პროცესის მთავარი ორიენტირი და შეიძლება ითქვას პრობლემაც, ანალოგიური საეთერო მაუწყებლობასთან დაკავშირებული ბოლო მომხმარებლების მწირი ფინანსური რესურსებია. ანალოგიური მდგომარეობაა მაუწყებლების ფინანსური კუთხითაც, და საქსელო პროვაიდერების ბაზარზეც სადაც რამდენიმე მონოპოლისტი კომპანიის გარდა, საქსელო რესურსთან დაშვების სხვა ალტერნატივები არ არსებობს. არა სახარბიელო მდგომარეობაში არიან კონტენტის მწარმოებლები, რომელთა უმეტესობა, ობიექტური და უმეტეს შემთხვევაში სუბიექტური გარემოებების გამო, მიუხედავად მოთხოვნადი კონტენტისა, მოკლებული არიან შესაძლებლობას მისი სიგნალი საეთერო ქსელით გაავრცელონ.

ქვემოთ მოცემული ინფორმაცია შეეხება სახელმწიფოს მიერ ბოლო მომხმარებლების და მაუწყებლობის სფეროს ოპერატორების დაფინანსების გზებს და ემყარება ევროპის კანონმდებლობას, ევროკომისიის პრაქტიკას და განმარტებებს, რომლებიც რეალიზებულია, როგორც ევროკავშირის წევრი ქვეყნების პრაქტიკაში, ასევე ევროპის სხვა ქვეყნების გაციფრულების სტრატეგიებში.

მიგვაჩნია, რომ შესაძლოა ის დაეხმაროს სფეროს პოლიტიკის განმსაზღვრელ სამინისტროს, რომ მაქსიმალურად სწორად განსაზღვროს ბაზრის მთავარი პრობლემები და მათი გადაჭრის ყველაზე ეფექტური გზები.

## 1. სახელმწიფო სუბსიდირების ზოგადი მიმოხილვა და მიმართულებები

### 1.1 სახელმწიფო დახმარების ბენეფიციარები

საქართველოს გაციფრულების სტრატეგიის ერთ-ერთ ქვაკუთხედს წარმოადგენს სახელმწიფოს პირდაპირი და არაპირდაპირი დახმარების საკითხების განსაზღვრა, რომელიც უკავშირდება სატელევიზიო მომსახურების ბოლო მომხმარებლის, არსებული ანალოგური მაუწყებლების, საქსელო სამაუწყებლო ქსელის ოპერატორების დახმარება-წახალისებას. სწორად შერჩეული სახელმწიფო სუბსიდიები წარმოადგენს დროული და ეფექტური გადართვის უზრუნველყოფის, ინვესტიციების მოზიდვის, მომსახურების საყოველთაო უზრუნველყოფის მყარ გარანტიებს.

გაციფრულების პროცესის სახელმწიფო დაფინანსების საკითხის განხილვისას, ზუსტად უნდა განისაზღვროს ის გამოწვევები, რომელშიც არსებობს არამართო მიმდინარე პერიოდში, არამედ შესაძლოა წარმოიშვას ციფრული მაუწყებლობის შემდგომ სტადიებზე.

სახელმწიფო დახმარების საკითხზე საუბრისას, ორი ძირითადი კატეგორია მოიაზრება: მომხმარებლების მხარე, რომლებსაც როგორც სოციალური, ასევე ფიზიკური მდგომარეობის გამო, შესაძლოა სჭირდებოდეთ სპეციალური ან/და ადაპტირებული მოწყობილობები, ასევე ესაჭიროებოდეთ ინფორმირება, საინსტალაციო/გამართვის მომსახურების დაფინანსება და ა.შ. და მომსახურების მიმწოდებლის/ქსელის მხარე, რომლებმაც უნდა მოახდინონ ციფრული საეთერო სიგნალების გავრცელება, ქსელის შექმნა/გადაიარაღება და ა.შ.

სახელმწიფოს მიერ, თითოეული ჯგუფისათვის უნდა შეირჩეს ოპტიმალური დაფინანსების გზები. საკითხის სწორად გააზრებისათვის სასურველია კარგად გაანალიზდეს ბოლო მომხმარებლების მოწყვლადობის მიზეზები.

იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იყოს ციფრულ მაუწყებლობაზე ეფექტური გადასვლა, აუცილებელია საზოგადოების ყველა ჯგუფის მოთხოვნილებების და

პრობლემების გათვალისწინება და მათი ციფრულ სამაუწყებლო ქსელთან წვდომის უზრუნველყოფა, რის გარეშეც ანალოგური მაუწყებლობის გათიშვა, მოსახლეობის გარკვეული ჯგუფისათვის იზოლაციის მომტანი იქნება. ბოლო მომხმარებლის მოწვევადობა, ფინანსური და ფიზიკური მიზეზების გარდა, შესაძლოა განპირობებული იყოს თუნდაც საჭირო უნარ-ჩვევების და ინფორმაციის არქონით (მაგ: ანალოგურისგან განსხვავებით აუცილებელი მოწყობილობების ჩართვის და გამართვის აუცილებლობით).

მთავარი პრობლემაა მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა, კერძოდ ოჯახების დაბალი შემოსავლები. მომხმარებელმა უნდა შეიძინოს ტელევიზორი, რომელიც თავსებადია ციფრულ საეთერო ქსელთან ან შეიძინოს რისივერი ციფრული სიგნალის მისაღებად. დიდ წილად სავარაუდოა, რომ ბოლო მომხმარებლების უმეტესობას დაჭირდება მიმღები ანტენების და დამაკავშირებელი კაბელის განახლება, როგორც ეს დიდი ბრიტანეთის შესაბამის კვლევაში იქნა შეფასებული. საგულისხმოა, ის გარემოებაც, რომ ჩვენს ქვეყანაში, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობისთვის შესაბამისი სტატუსის მინიჭებისას, სხვა ფაქტორების გარდა, გაითვალისწინება ტელევიზორის არარსებობა, რაც დახმარების საკითხს თავდაყირა აყენებს.

სავარაუდოა, რომ ბოლო 5 წლიან პერიოდში ქართველოს საშუალო და მაღალშემოსავლიანი ბოლო მომხმარებლების მიერ შეძენილი ტელევიზორები (ძირითადად საკაბელო, ან სატელიტური პლატფორმების მეშვეობით შემოთავაზებული SD და HD სერვისებთან წვდომის მიზნით) ძირითადად თავსებადია ციფრულ საეთერო ქსელთან, თუმცა აღნიშნული ასევე უნდა დადგინდეს კვლევის შედეგად, როგორც საკაბელო და სატელიტური მაუწყებლების, ასევე საცალო მოვაჭრეების ინფორმაციის შეჯერებით (აღნიშნული ასევე შეეხება ე.წ. რისივერებსაც).

დადებითი ფაქტორად უნდა განვიხილოთ ის გარემოება, რომ ციფრული საეთერო ქსელის მოწყობილობების (ინტეგრირებული ტელევიზორების და რისივერების) ფასი წლითი წლამდე მცირდება, თუმცა მოსახლეობის უმეტესობისათვის, ისევე როგორც ევროკავშირის რიგი ქვეყნებისათვის, ეს ხარჯები მაინც საკამოდ მაღალია და ხშირ შემთხვევაში მიუწვდომელიც.

გარდა იმისა რომ შავ-თეთრი ტელევიზორების ციფრულ ქსელთან ინტეგრაცია შეუძლებელია, დახმარება ესაჭიროება მოსახლეობის იმ კატეგორიას, რომლისთვის განმავლობაში არსებული შემოსავლები, საქსტატის მონაცემების მიხედვით, არ

ამლევთ საშუალებას შეიძინონ ბაზარზე წარმოდგენილი ყველაზე იაფი ტელევიზორი ან/და რესივერი.

საქსტატის 2012 წლის მონაცემებით 4.5 მილიონი კაციდან, ქალაქებში თავმოყრილია 2.4 მილიონი ადამიანი, ხოლო სოფლად ცხოვრობს 2.1 მილიონი. სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემებით, სიღარიბის ზღვარს მიღმა მთლიანი მოსახლეობის 9.2%, საარსებო პენსიას იღებს 394 ათასი კაცი, ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სხვადასხვა კატეგორიის პენსიონერია 800 ათასი კაცი, საიდან ციფრულ მაუწყებლობის მიგრაციისას მატერიალური და არამატერიალური დახმარება შესაძლოა დაჭირდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ასევე ასაკობრივ პენსიონერებს. საგულისხმოა, რიგი ფაქტორები, რომლებიც სუბიექტური თუ ობიექტური გარემოებების გამო არ იყო ასახული სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებში. ამ კითხით საინტერესოა მედია.ჯე-ს ინტერნეტ სტატიის პრაგმენტი - „გვარწმუნებენ, რომ ქვეყანაში მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა, მაგრამ ასე რომ იყოს, ალბათ 0,5 მილიონი ოჯახის (ეს კი 1 მილიონ 300 ათასი წევრს უდრის) განაცხადი არ შევიდოდა სოციალური მომსახურების სააგენტოში სოციალურად დაუცველი, ანუ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახის დახმარების მისაღებად“. აღნიშნული ფაქტორი საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის რაოდენობა, 9.2 პროცენტზე გაცილებით დიდი იქნება, შესაბამისად დახმარების დაგეგმარებისას, ამ მონაცემზე დაყრდნობა, უპრიანია, არ მოხდეს.

ციფრულ მაუწყებლობის მიგრაციის პროცესში მოსახლეობის მოწყვლადობის არაეკონომიკური მიზეზები შესაძლოა გამომდინარეობდეს ბოლო მომხმარებლების შეზღუდული ფიზიკური მდგომარეობიდან, ე.წ. სენსორული ხარვეზების, ადეკვატურად აღქმის პრობლემების და რაც ყველაზე მნიშვნელოვანი ენობრივი პრობლემების არსებობის გამოც (მათ შორის განათლების დაბალი დონის) ან გეოგრაფიული ფაქტორების გამო. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ შესაძლებელია გვყავდეს სხვა მოწყვლადი მომხმარებლებიც, რომლებიც რიგი მიზეზების გამო შესაძლოა გადართვის მომენტისათვის არ იღებდნენ სახელმწიფო დახმარებას (სარეიტინგო ქულაზე მინიმალური მეტობის ან სხვა გარემოებების გამო). დიდი ბრიტანეთის სამაუწყებლო სფეროს მარეგულირებლის განმარტებით, ციფრული გადართვის დახმარების პროცესში მეტად მოწყვლად კატეგორიად მიჩნეულია ასევე სოციალურად იზოლირებული პირები. ეს პირები მაქსიმალურად შეზღუდული არიან ინფორმაციის წვდომის პროცესში.

იოლად მოწყვლადი ჯგუფების რაოდენობა უნდა დადგინდეს სამინისტროს მიერ ციფრული გადართვის პროცესის პოლიტიკის განსაზღვრამდე, შესაბამისი სამსახურების დახმარებით, ასევე კონკრეტული მიმართულებებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით, რომ განისაზღვროს იმ კატეგორიის მომხმარებლების/ოჯახების მაქსიმალურად ზუსტი რაოდენობა, რომლებიც საჭიროებენ დახმარებას მათი ფიზიკური მდგომარეობის გამო: ასაკის (მაგალითისათვის 75 წელი და ზემოთ), ფიზიკური მდგომარეობის, სოციალური დახმარების მიმღების სტატუსის, სამსახურის მაძიებელი პირების რაოდენობის ან შემოსავლის არ მქონეს ხვა პირების კატეგორიის დადგენის გზით. ამ კატეგორიაში უნდა გათვალისწინებულ იქნას ინვალიდობის პენსიის მიმღები პირებიც, ასევე ყველა ის კატეგორია რომლებიც მოიაზრებიან იოლად მოწყვლადი კატეგორიის ბოლო მომხმარებლებში (დახმარების საკითხის განსაზღვრისას უნდა აუცილებლად შეფასდეს, შესაძლოა მრავლად იყოს ისეთი ოჯახები, რომლებიც მიუხედავად მძიმე სოციალური პირობებისა, არა არიან ჩართული დახმარების პროგრამაში, ადმინისტრაციული პროცედურების გაუსვლელობის გამო ან მათი შემოსავლები ბევრად არ აღემატება სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი პირების სოციალურ მდგომარეობას). ამ კუთხით საინტერესო უნდა იყოს იტალიის პრაქტიკა 10 000 ევროზე ნაკლები შემოსავლების მქონე პირების დაფინანსების შესახებ.

ციფრული მაუწყებლობის პროცესის სტიმულირებისათვის, შესაძლოა რომ სიღარიბის მიღმა მყოფი პირების სარეიტინგო შეფასების მიზნებისათვის, სამაუწყებლო ტერმინალები, და მასთან დაკავშირებული მიმღები/საანტენო მოწყობილობები, არ იყოს შეყვანილი არა სასოფლო-სამეურნეო ქონების კატეგორიაში.

## 1.2 ზომები, მიმართული ბოლო მომხმარებლის მოწყვლადობის აღმოსაფხვრელად

### 1.2.1. ბოლო მომხმარებლის ეკონომიკური მოწყვლადობის აღმოფხვრის გზები

ბოლო მომხმარებლების ეკონომიკური მოწყვლადობა შესაძლოა კომპენსირდეს დაფინანსების სხვადასხვა გზებით:

#### ა) სუბსიდირება

სუბსიდირების ერთი საშუალებად შესაძლოა განხილული იყოს სამაუწყებლო ტერმინალების იმპორტიორების დაფინანსება, იმ პირობით, რომ აღნიშნული პირები



მაქსიმალურად დაბალი ფასით გაყიდვიან ფიზიკურ პირებზე ბოლო მომხმარებლებისათვის განკუთვნილ მოწყობილობებს გაციფრულების გარდამავალ ან დროის უფრო მოკლე პერიოდში. თუმცა დაფინანსების ეს მოდელი, არ წარმოადგენს არსებით შეღავათს მოწყვლადი ჯგუფის წევრი მომხმარებლებისათვის. აღნიშნული მეთოდი ასევე კონკურენციის შემზღუდავ ქმედებადაც უნდა იყოს განხილული, რადგან ყველა იმპორტიორი ერთი და იგივე მოცულობით და პირობებით ვერ დაფინანსდება, რიგი ფაქტორების გამო.

### *ბ) ვაუჩერიზაცია*

უფრო მეტად ეფექტური გზაა დაფინანსება ბოლო მომხმარებლის დონეზე. ევროკომისიამ დაადგინა, რომ წახალისებულია მისი წევრი სახელმწიფოების მიერ ბოლო მომხმარებლების რისივერების სუბსიდირება, თუ ისინი ბოლო მომხმარებელს მიეწოდება ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის საფუძველზე (ისინი დაპროგრამებულია ღია პროგრამული სტანდარტით, ინტერაქტიული მომსახურების მისაწოდებლად).

საკითხის ადმინისტრირების კუთხით, ყველაზე მარტივი გზაა სპეციალური ვაუჩერების დარიგება. ვაუჩერი შესაძლოა დარიგდეს ან უშუალოდ ოჯახების მიხედვით, ან გათვალისწინებული იყოს ციფრული ტერმინალის ყიდვისას. ვაუჩერი მიღების შემდგომ, ოჯახის უფლებამოსილი წევრი ვალდებული უნდა იყოს კონკრეტულ ვადაში (მაგალითად მიღებიდან 3 თვის ვადაში) მივიდეს უახლოეს (ან წინასწარ განსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალში) საცალო ქსელში ინტეგრირებული ტელევიზორის ან რისივერის შესაძენად.

ციფრული მოწყობილობების სახელმწიფო სუბსიდირება შესაძლოა მიმართული იყოს, როგორც ყველა მოსახლის, ასევე კონკრეტული მოწყვლადი ჯგუფის მიმართ. საყოველთაო დაფინანსების მოდელი გამოყენებული იყო იმ ქვეყნებში, სადაც ციფრული მიგრაცია ადრეულ ეტაპზე განხორციელდა, რადგან ციფრული ტერმინალების ფასი საკმაოდ დიდი იყო, შეზღუდული იყო წვდომა. ამ საერთო სუბსიდირების მიზანს წარმოადგენდა გაციფრულების პროცესის დაჩქარება და მომხმარებლების კრიტიკული რაოდენობის დროული ჩართვა. სასურველია, რომ სუბსიდირების პოლიტიკის მთავარ მიზანს წარმოადგენდეს, არამარტო სტანდარტული ფუნქციის მატარებელი რისივერების დაფინანსება, არამედ იმგვარი აპარატურის დაფინანსება, რომელიც აღჭურვილი იქნება ინტერაქტიული ფუნქციით,

ფასიანი მომსახურების მიღების შესაძლებლობით. ჩვენთვის ევროპის ქვეყნების ბოლო პერიოდში მოწონებული დაფინანსების მოდელი უფრო მეტად მისაღებია, იმ პირობებში, როდესაც მოსახლეობის ძირითადი ნაწილს აქვს შესაძლებლობა (განსაკუთრებით განვადებით ნასყიდობის შემთხვევაში) თვითონ შეიძინონ რისივერები, ხოლო სახელმწიფომ უნდა შეარჩიოს ის კონკრეტული ჯგუფები, რომლებსაც შესაძლოა შეექმნათ პრობლემები ამ მოწყობილობების შესაძენად. ამ მოდელის პრობლემას წარმოადგენს (შერჩეული მოწყვლადი მომხმარებლების ჯგუფის შერჩევა) ვაჭრობის გამართვა სუბსიდირებულ და არა სუბსიდირებულ მომხმარებლებს შორის. მითუმეტეს იმ კონტექსტში, რომ საქართველოში საკამოდ ხშირია ამგვარი მაგალითები (საწვავის, სასუქის და სხვა ვაუჩერებით ვაჭრობის მაგალითები).

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს რომ კონკრეტული მოდელის შერჩევა დამოკიდებულია ქვეყნის სპეციფიკაზე. ქვეყნების უმეტესობაში მოსახლეობას გაცნობიერებული აქვს ციფრული მაუწყებლობის სიკეთეები სხვა პლატფორმებთან შედარებით (ფასის, ხარისხის, მიღების სიმარტივის და სხვა ჩანაცვლებადობის მაჩვენებლების გათვალისწინებით), რამაც შესაძლოა გადაწონოს არჩევანი მოსახლეობის უმეტესობისათვის ამ პლატფორმის სასარგებლოდ (განსაკუთრებით სხვა ტექნოლოგიით მომსახურების მიღებასთან დაკავშირებით), განსაკუთრებით როდესაც ბაზარზე წარმოდგენილია აპარატურა ხელმისაწვდომ ფასად, რის შედეგადაც ისინი არ იქნებიან წინააღმდეგი პირველადი დანახარჯების განხორციელებაზე.

ნებისმიერ შემთხვევაში, ყველა ქვეყანა დაგეგმვისას ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ არაგონივრული და არასწორად განხორციელებული ციფრული სუბსიდირება, შესაძლოა პროცესის შემაფერხებელ ფაქტორადაც იქცეს.

სუბსიდირების პროცედურების დამდგენი ნორმები უნდა იყოს არაორაზროვანი, მარტივად გასაგები და აღქმადი, გამჭვირვალე. მთავრობის მიერ უნდა დამტკიცდეს „კეთილსინდისიერი“ პროცედურები უფასო მოწყობილობის მინიჭების წესის დადენისას ან მათი შექმნისას შესაბამისი სახელმწიფო დახმარების მიწოდებისას. სხვაგვარი დახმარების შეთავაზება ბოლო მომხმარებლებისათვის მიზანშეწონილია არ განხორციელდეს. სასურველია, რომ ყველა ტერმინალი აღჭურვილი იყოს შესაბამისი ქართულად შედგენილი გზამკვლევით, იმპორტიორების ან სახელმწიფო დაფინანსებით.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან პირდაპირ დაფინანსების გარდა, შესაძლებელია შეიქმნას ე.წ. "გადართვის ფონდი", რომელიც უნდა შეივსოს მაკროეკონომიკური ტრანსფერებით, რომელშიც მოიაზრება ის კომპანიები ვინც მიიღებს სარგებელს ანალოგურის გამორთვით (საეთერო მაუწყებლობის ბაზრის მონაწილეები, სპექტრის სხვა მოსარგებლები). ფონდში აკუმულირებული თანხა უნდა დაიხარჯოს იმ ღონისძიებების დასაფინანსებლად, რომელიც დააჩქარებს და წაახალისებს პროცესს. აღნიშნული მიზნების გადასაჭრელად ავსტრიაში შექმნილი ფონდის პრაქტიკა (გაციფრულების პროცესის ხელშეწყობის ფონდი) შესაძლოა მისაღებ ვარიანტად ჩაითვალოს, როგორც დაფინანსების, ასევე ხარჯვის მიმართულებებით.

### *გ) სატელევიზიო მოსაკრებლების შემცირება*

ევროპაში, არამოწყველადი კატეგორიის წასახალისებლად, სუბსიდირების ალტერნატიულ ვარიანტად, რომელმაც შესაძლოა შეამციროს ბოლო მომხმარებლის „ტვირთი“ პირველადი ხარჯების გაწვევის მიმართულებით, შესაძლოა განხილული იყოს სატელევიზიო ლიცენზიის მოსაკრებლის დროებითი შემცირება იმ ოჯახებისათვის, რომელიც აღჭურვილი იქნებიან ციფრული მაუწყებლობის აღჭურვილობით (შესაძლოა ასევე განვიხილოთ საბაჟო მოსაკრებლისაგან და დღგ-გან იმპორტიორების განთავისუფლება დროებით, მხოლოდ ამ ნაწილში). ამ გადაწყვეტის უპირატესობად შესაძლოა განვიხილოთ ის გარემოება, რომ ის წაახალისებს სწრაფ ციფრულ მიგრაციას (ჩვენ შემთხვევაში საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსება მოხმარებების მხრიდან ნაწილობრივ შესაძლოა წარიმართოს ამ პროცესის დასაფინანსებლად), რადგან მომხმარებელს უთავისუფლდება ხარჯების მცირე ნაწილი, რომელიც შეუძლია მიმართოს მოწყობილობის შესაძენად. თუმცა ამ მიმართულებით უნდა გაითვალისწინოთ, რომ ეს თანხა მცირეა ჩვენთან და დიდ მასტიმულირებელ საშუალებად ვერ გამოდგება (საგულისხმოა, რომ სატელევიზიო ლიცენზიების მოსაკრებელი (სატელევიზიო მოსაკრებელი ფარავს საზოგადოებრივ მაუწყებლობის ხარჯებს (საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსება 25 მილიონ 500 ათას ლარით იყო განსაზღვრული. ეს მაჩვენებელი, დაახლოებით, 5 მილიონი ლარით აღემატებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის 2008 წლის ბიუჯეტში მაუწყებლისთვის გამოყოფილი თანხას - 20 მილიონ 676 ათასი ლარს). დარგისაგან ასევე ხდება რეგულირების 0.5%-ს, ასევე საქსელო პროვაიდერებისგან ერთ პროცენტამდე თანხის „ამოღება“.

### 1.2.2 ზომები მიმართული ბოლო მომხმარებლის არაეკონომიკური მოწყვლადობის აღმოსაფხვრელად

მოწყვლადობის არაეკონომიკური მიზეზების აღმოფხვრა გაციფრულების პროცესში, საჭიროებს ადმინისტრირების და განხორციელების კუთხით ბევრად უფრო რთულ და კომპლექსურ ზომებს. ამავდროულად, მიზანშეწონილია, რომ სახელმწიფო რესურსები გამოყენებული იყოს გადართვის მხარდამჭერი პროგრამების მხარდასაჭერად. ეს ღონისძიებები შესაძლოა იყოს პრაქტიკული დახმარება ტერმინალის ინსტალაციის, ბოლო მომხმარებლის ციფრული მოწყობილობის გამოყენების გასაიოლებლად. აღნიშნული ამ მომხმარებლებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან მოწყვლადი ჯგუფები უნდა უზრუნველყოფილი იყონ ადეკვატური და აუცილებელი მხარდამჭერი სატელეფონო კონსულტაციით. უნდა მომზადდეს ასევე შესაბამისი საინსტრუქციო პაკეტით, ასევე მომხმარებლის გზამკვლევი. თითოეული უნდა ითვალისწინებდეს ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების მოთხოვნილებებს და პრობლემებს. განსხვავებული ტიპის დახმარება შესაძლოა განისაზღვროს განსაკუთრებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მომხმარებლების მიმართ, რაც შესაძლოა გამოიხატოს სპეციალური მოწყობილობის სუბსიდირებაშიც.

### 1.3 მაუწყებლების, ციფრული მაუწყებლობის საეთერო ქსელების ოპერატორების დაფინანსების მიმართულება

გაციფრულების პროცესი საკამოდ დიდი დანახარჯებს მოითხოვს მაუწყებლებისაგან და ციფრული საეთერო მაუწყებლობის ქსელის ოპერატორებისაგან. უკუგება ამ დანახარჯებზე შესაძლოა მიღებული იყოს გრძელვადიან პერსპექტივაში. ბაზარზე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, შესაძლოა საჭირო იყოს მასტიმულირებელი ღონისძიებები კერძო მაუწყებლებისათვის, რომ მათ შეძლონ ინვესტირება აღნიშნულ პროცესში. ეს ღონისძიებები შესაძლოა მოიცავდეს პირდაპირ სუბსიდირებას, გარკვეული გადამცემი აპარატურის შესაძენად ან შესაძლოა მოხდეს სამაუწყებლო საეთერო ლიცენზიის მოსაკრებლის შემცირება ან გაუქმება გარკვეული ტიპის ლიცენზიებზე, გარკვეული ვადით. ამ ღონისძიებების მიზანია დააჩქაროს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესი, შესაბამისად ადრეულ სტადიაზე მოხდეს ბოლო მომხმარებლებისათვის ციფრული მაუწყებლობის პროგრამების ფართო სპექტრის შეთავაზება, და შესაბამისად ბოლო მომხმარებლების მიერ ციფრული მოწყობილობების დროული შეძენა.

ევროსაბჭოს რეკომენდაციებით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი სახელმწიფო დახმარების განხორციელებისას უნდა იყოს მედია პლურალიზმის უზრუნველყოფა, რადგან ძირითადად სამაუწყებლო ბაზრის მსხვილი მოთამაშეები ფლობენ შესაძლებლობას მოახდინონ ინვესტირება ციფრული მაუწყებლობის ინფრასტრუქტურაში. აღსანიშნავია, რომ კერძო საეთერო მაუწყებლობის ქსელების უმეტესი ნაწილი დამოკიდებულია სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ იურიდიულ პირებზე.

მაუწყებლების, ციფრული მაუწყებლობის საეთერო ქსელების ოპერატორების დაფინანსების მიმართულებით ევროპის კავშირის მინისტრთა კომიტეტი (the Committee of Ministers) ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებს რეკომენდაციას აძლევს, რომ მათ რეგულირებაში ასახონ შესაბამისი ეკონომიკური და სამართლებრივი საკითხები, რომლის მიზანი იქნება მედია პლურალიზმის უზრუნველყოფა, ასევე უზრუნველყოფს საზოგადოების წვდომის შესაძლებლობას მაღალხარისხიან კონტენტთან, რომელიც მრავლად იქნება წარმოდგენილი ბაზარზე. სახელმწიფომ უნდა დაიცვას, და თუ აუცილებელია მიიღოს სპეციალური ზომები მედია პლურალიზმის დასაცავად. კომიტეტი ასევე აღნიშნავს, რომ ახალი ტექნოლოგიების გამოწვევების კონტექსტში, საიმედო და შესაბამისი ფინანსური რეგულირების გარეშე, გაციფრულების პროცესი შესაძლოა დაბრკოლდეს. ახალი გამოწვევების კონტექსტში, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ საზოგადოებრივი მაუწყებლების ოპტიმალური ფინანსური მხარდაჭერა, მათ წინაშე დასმული ამოცანების გადასაჭრელად.

ევროპის კომისიის ე.წ. DVB-T გადაწყვეტილებს განსაზღვრავს იმ ღონისძიებების ჩამონათვალს, რომლებიც დასაშვებია ციფრულ მაუწყებლობაზე მიგრაციისას. რაც შეეხება კონტენტის მწარმოებლების და საქსელო ოპერატორების მხარდაჭერას, ის უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ არ იწვევდეს არასწორ მიდგომას ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის, ასევე კონკურენციის შეზღუდვის კუთხით (რაც შესაძლოა დასაშვები იყოს მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში). მაუწყებლების/სამაუწყებლო საეთერო პროვაიდერების მხარდასაჭერად, შესაძლოა, განხორციელდეს შემდეგი ტიპის აქტივობები:

- ციფრული მაუწყებლობის ტექნოლოგიების და ინტერაქტიული პროგრამების კვლევის დაფინანსება;
- შემოღებულ იქნას სუბსიდიები მაუწყებლებისათვის, რომ კომპენსირდეს დამატებითი ხარჯები სიმულქსტის პერიოდში;

- მოხდეს გადამცემი ქსელების მშენებლობის დაფინანსება იმ ზონებში, სადაც პირველადი და შემდგომი ანალიზი ცხადყოფს, რომ არ იქნება სათანადო ციფრული დაფარვა;

- კომპენსირდეს ფინანსური დახმარება იმ მაუწყებლებისათვის, რომლებმაც მიზანშეწონილია, რომ უარი თქვან მათ სარგებლობაში მყოფი ლიცენზიებით სარგებლობაზე ლიცენზიების ვადის ამოწურვამდე.

ფინეთში, გამოყენებული იყო სამ საფეხურიანი მიდგომა, იმისათვის რომ შეემსუბუქებინათ ე.წ. „საინვესტიციო ტვირთი“ მაუწყებლებისათვის. პირველ რიგში ანალოგური კომერციული მაუწყებლების სალიცენზიო მოსაკრებელი შეუმცირდათ 50%-ით, მაშინ როდესაც ციფრული მაუწყებლები უფლებამოსილი იყვნენ საერთოდ არ გადაეხადათ ეს მოსაკრებელი 2010 წლის 1 სექტემბრამდე (ციფრული მაუწყებლობა გაიშვა 2001 წლიდან, ანალოგური გამოირთო 2007 წელს). მეორე რიგში, სახელმწიფომ გაზარდა მაყურებლების მიერ გადასახდელი სალიცენზიო მოსაკრებელი (13%) 2004 წლიდან, რომელიც სიმულქასთის პერიოდში ეტაპობრივად იზრდებოდა (2007 წლამდე). მსგავსი ზრდის მოდელი დაინერგა ასევე ავსტრიაში გაციფრულების ფონდის შესავსებად, რომელიც აფინანსებდა სხვა მიმართულებებს.

ევროკომისიის მიერ გაანალიზდა დიდი ბრიტანეთის (ოფკომის 2004 წლის დეკემბერი) შემთხვევა, როდესაც შეიცვალა გაცემული ანალოგური ლიცენზიები ციფრული მაუწყებლობის ლიცენზიებით. ბრიტანულმა მარეგულირებელმა შეამცირა სამაუწყებლო ლიცენზირების მოსაკრებლები. ევროკომისიის მიერ 2006 წლის 25 იანვარს მიღებული გადაწყვეტილებით შეფასდა და დადგინდა, რომ, ეს ღონისძიება არ ანიჭებდა უპირატესობას ლიცენზიანტს, და მისი განხილვა როგორც სახელმწიფო დახმარებისა არ უნდა მომხდარიყო ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 107-ე მუხლთან მიმართებაში. ევროკომისიამ განსაზღვრა, რომ აღნიშნული ზომა წარმოადგენდა აუცილებელ ზომას ლიცენზირების პროცესისათვის, და მიზნად ისახავდა სალიცენზიო მოსაკრებლების შესაბამისობაში მოყვანას სიხშირეების საბაზრო ღირებულებასთან და არ წარმოადგენდა ლიცენზიის მოსაკრებლისაგან განთავისუფლების მოქმედებას.

## 2. გაციფრულების დაფინანსების რეგულირება ევროკავშირის დონეზე

### 2.1 ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების რეგულაცია

მთავარი ნორმა, რომლითაც იწყება ევროპის წევრი ქვეყნების მიერ გაცემული სახელმწიფო დახმარებების შეფასება, განსაზღვრულია ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების ბოლო რედაქციის 107-109 მუხლებში. საკითხის მარეგულირებელი მატერიალური და პროცედურული ნორმები ასევე წარმოდგენილია ევროკომისიის და საბჭოს რეგულაციებში და სხვა სამართლებრივ აქტებში. რადგან არ არსებობს პირდაპირი რეგულირება ციფრული მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესში სახელმწიფო დახმარების რეგულირებისათვის, ეს ნორმები ასევე ინტერპრეტირებულია ევროპის იუსტიციის სასამართლოს მიერ (Court of Justice of the European Union), და მათი გამოყენება ხდება კონკრეტული წევრი ქვეყნის მიერ გამოყენებული ან გამოსაყენებელი დაფინანსების მოდელის შეფასებისას. კომისიის გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები, ასევე უნდა გამოყენებული იყოს დაფინანსების საკითხის შეფასებისას. ევროპის კავშირის ფუნქციონირების შეთანხმება-ს 107-ე მუხლი ადგენს ე.წ. ტესტს სახელმწიფო დახმარებისათვის.

ევროპის კავშირის ფუნქციონირების შეთანხმების 107(1) მუხლი ადგენს ძირითად პირობებს, რომელთა არსებობის შემთხვევაში სახელმწიფო დახმარება არ არის თავსებადი ქვეყნის შიდა ბაზარის პრინციპებთან (ე.წ. არა თავსებადი დახმარება): თუ არ არსებობს ის გამონაკლისი შემთხვევები, რომლებიც განსაზღვრულია ევროპის კავშირის ფუნქციონირების შეთანხმებაში და ევროპის კავშირის შეთანხმებაში, ნებისმიერი დახმარება, რომელიც ხორციელდება წევრი სახელმწიფოს მიერ, რომელიც ზღუდავს ან ქმნის კონკურენციის შეზღუდვის საფრთხეებს, გარკვეული საწარმოების ან გარკვეული პროდუქციის წარმოებისათვის შედარებით უკეთესი პირობების შექმნის გზით, არათავსებადს შიდა ბაზართან და საერთაშორისო ვაჭრობის წესებთან. როგორც ეს ამ განმარტებიდან გამომდინარეობს, უნდა არსებობდეს შემდეგი პირობის ერთობლიობა, რომ კონკრეტული დახმარება დაკვალიფიცირდეს, როგორც შეუსაბამო 107 (1) მუხლთან: არსებული უპირატესობა უნდა მიღწეული იყოს მიღებული დახმარების საფუძველზე; დახმარება უნდა იყოს ან სახელმწიფოს მიერ ხელშეწყობით, ან სახელმწიფო რესურსების პირდაპირი გამოყენებით მიღებული; დახმარება უნდა იწვევდეს კონკურენციის შეზღუდვას ან ქმნიდეს ამგვარი შეზღუდვის საფრთხეს და ის უნდა ახდენდეს (ან მომავალში ქმნიდეს ამ გავლენის მოხდენის საფრთხეს) გავლენას საერთაშორისო ვაჭრობაზე.

ევროპის კავშირის ფუნქციონირების შეთანხმების 107(2) მუხლი განსაზღვრავს იმ დახმარების კატეგორიებს, რომლებიც ჩათვლილია თავსებადად შიდა ბაზრისათვის: ა) დახმარება, რომელიც ატარებს სოციალურ ხასიათს და რომელიც მიეწოდებათ ფიზიკურ პირებს (ინდივიდებს) დისკრიმინაციის გარეშე; ბ) დახმარება იმ ზიანის ანაზღაურების მიზნით, რომელიც დაკავშირებულია სტიქიური უბედურებების ან სხვა საგანგებო შემთხვევებიდან წარმოშობილი ზიანიდან. ეს დახმარებები, როგორც წესი ხორციელდება ევროკავშირის ორგანოების ნებართვის გარეშე, თუმცა პრაქტიკაში ხშირია მათი კონტროლიც.

ევროპის კავშირის ფუნქციონირების შეთანხმების 107(3) მუხლი ჩამოთვლის იმ სახელმწიფო დახმარების კატეგორიებს, რომლებიც შესაძლოა განხილული იყოს ევროპის საბჭოს მიერ მისაღები ზომის შიდა ბაზართან თავსებადობის კუთხით:

ა) დახმარება ეკონომიკური განვითარების ხელშესაწყობად, იმ ზონებში სადაც ცხოვრების დონე ან დასაქმების მაჩვენებელი ძალიან დაბალია, და იმ რეგიონებში, რომლებიც პირდაპირ ჩამოთვლილია ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 349-ე მუხლში, სტრუქტურული, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით;

ბ) დაფინანსება იმ პროექტების დასახმარებლად, რომლებიც შედის საერთო ევროპული ინტერესებში ან მიმართულია წვერი სახელმწიფოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი პრობლემების აღმოსაფხვრელად;

გ) დახმარება, რომ ხელი შეეწყოს მნიშვნელოვან ეკონომიკურ პროექტებს ან მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზონებს, თუ ამგვარი დახმარება არ ახდენს მავნეზე გავლენას სავაჭრო პირობებზე, საერთო ევროპული ინტერესებიდან გამომდინარე;

დ) დახმარება მიმართული კულტურული განვითარებისათვის და კულტურული მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად, როდესაც აღნიშნული დახმარება არ ახდენს გავლენას ევროკავშირში სავაჭრო პირობებზე და კონკურენციაზე, იმ დოზით, რომ ეს წინააღმდეგობაში მოდის საერთო ევროპულ ინტერესებთან;

ე) დახმარების სხვა კატეგორიები, რომლებიც შესაძლოა განისაზღვროს ევროპის საბჭოს გადაწყვეტილებით ევროპის კომისიის წარდგინების საფუძველზე.

ევროპის კომისია და ევროპის იუსტიციის სასამართლო ინტენსიურად ახდენენ 107-ე მუხლის განმარტებას სხვადასხვა საკითხების რეგულირებისას. განხილული განმარტებები შეეხო ასევე გაციფრულების პროცესსაც. არ არსებობს სპეციალური



კანონმდებლობა, რომელიც დაარეგულირებს გაციფრულების პროცესში სახელმწიფო დახმარების ფარგლებს, ამიტომ დამატებით გამოიყენება სასამართლო პრაქტიკა და ევროკომისიის განმარტებები.

## 2.2 ევროკომისიის პრაქტიკა და განმარტებები

ევროკომისიის პოზიცია გაციფრულების პროცესში გაცემული დაფინანსებაზე ჩამოყალიბებულია მის ერთ-ერთ აქტში, რომელიც წარმოადგენს ციფრული გადართვის პაკეტის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს. 2003 წლის ე.წ. „გაციფრულების განმარტებაში“ ხაზგასმულია, რომ რეგულირება უნდა იყოს მოსაწესრიგებელი პრობლემის თანაზომადი და განხორციელებული ტექნოლოგიურად ნეიტრალური ფორმით.

ევროკომისია ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ გაციფრულების პროცესი კონკრეტულ ტერიტორიაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება განხორციელებულად, როდესაც თითქმის ყველა ოჯახს ექნება იმის შესაძლებლობა, რომ მიიღოს ციფრული სამაუწყებლო მომსახურება. ამ მიზნის სწრაფად და ეფექტურად მისაღწევად, ევროპის კავშირის ქვეყნებმა პოლიტიკის ჩამოყალიბებისას, რეკომენდირებულია, რომ მხედველობაში უნდა მიიღონ ყველა სატრანსპორტო ქსელის მდგომარეობა (პირველ რიგში საკაბელო, სატელიტური და საეთერო სატრანსპორტო ქსელები). აღნიშნული მიდგომა აქცენტს აკეთებს საქსელო კონკურენციის უმნიშვნელოვანეს როლზე სამაუწყებლო ბაზრის განვითარების საქმეში. ეს პრინციპი ეხმიანება ევროპის კავშირის ე.წ. ელექტრონული კომუნიკაციების ახალი რეგულირების დირექტივების სულისკვეთებას ('new regulatory framework for electronic communications'), რომელიც ორიენტირებულია კონკურენციის უზრუნველყოფაზე და ტექნოლოგიურ ნეიტრალიტეტზე.

ევროპის კავშირის განმარტებით, ერთი კონკრეტული სამაუწყებლო ტექნოლოგიის სახელმწიფო სუბსიდირება არ შეიძლება საფუძველშივე აიკრძალოს, თუმცა ის უნდა დასაბუთდეს საერთო ინტერესებთან თანხვედრით, და განხორციელდეს სწორი გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში ის, წარმოჩინდება როგორც დისკრიმინაციული და სხვა პლატფორმების ან ქსელების მიმართ და შესაძლოა გახდეს ინვესტირების შემაფერხებელი ფაქტორი.

ევროკომისიის ხედვით, წევრი სახელმწიფოების მიზანი მიღწეული უნდა იყოს სწრაფი და ეფექტური გაციფრულებით. ეფექტურობა პირველ რიგში გულისხმობს სახელმწიფო რესურსების მაქსიმალურ დაზოგვას. საბოლოოდ, ნებისმიერი

საზოგადოებრივი ფინანსური დახმარება ციფრული მაუწყებლობისათვის, უნდა თავსებადი იყოს სახელმწიფო დახმარების მარეგულირებელ ევროპის კავშირის კანონმდებლობასთან. სახელმწიფო დახმარება საზოგადოებრივი მაუწყებლობისათვის მიზანშეწონილია დარეგულირდეს ევროკომისიის შესაბამისი აქტით.

ევროპის კომისიამ მიიღო რიგი გადაწყვეტილებები დავებთან დაკავშირებით, რომლებიც უკავშირდება გაციფრულების პროცესში სახელმწიფო დახმარების გაცემას, რომელიც მნიშვნელოვანია ევროპის კომისიის პოზიციის განსასაზღვრავად, ევროპის კავშირის სახელმწიფო დახმარების მარეგულირებელ კანონმდებლობასთან დაკავშირებით არსებული პრაქტიკის ანალიზის კუთხით. განვიხილოთ **ევროპის კომისიის გადაწყვეტილება ე.წ. ბერლინ-ბრანდენბურგის დავაზე**

2005 წლის 9 ნოემბერს, ევროკომისიამ მიიღო 2006/513/EC გადაწყვეტილება, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიმართ (ბერლინი-ბრანდენბურგის მედია რეგულირების დამოუკიდებელი ორგანო (Medienanstalt Berlin-Brandenburg (MABB) წარმოადგენდა დახმარების მიმღებს) დახმარების შესახებ, რომელიც გაცემული იყოს ბერლინ-ბრანდენბურგის ფედერალურ ნაწილში ციფრული საეთერო მაუწყებლობის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით. კომისიისათვის შეტყობინების გარეშე, ბერლინი-ბრანდენბურგის მედია რეგულირების დამოუკიდებელმა ორგანომ გასცა სუბსიდიები დაახლოებით 4 მილიონი ევროს ოდენობით კომერციულ მაუწყებლებზე (RTL და ProSiebenSat.1), რომ დაეფარა ციფრული საეთერო მაუწყებლობის ქსელთან დაშვების ხარჯების ნაწილი. თავის მხრივ, ამ მაუწყებლებმა აიღეს ვალდებულება ციფრული საეთერო ქსელის ლიცენზიით სარგებლობის უფლება გადაეცათ კერძო კომპანიისათვის (T-Systems) ხუთი წლის ვადით.

კერძო საკაბელო ქსელების ოპერატორების ასოციაციის საჩივრის შემდგომ (Verband Privater Kabelnetzbetreiber e.V. (ANGA), რომელიც წარდგენილი იყოს ევრო კომისიაში 2002 წლის დეკემბერში, კომისიამ დაიწყო კვლევის ოფიციალური პროცედურები/მოკვლევა (პროცესში ჩაერთო ასევე სხვა საკაბელო კომპანიაც 2003 წელს). ბაზრის და პროცესის მონაწილეების კონსულტაციის შემდგომ, კომისიამ დაადგინა, რომ ბერლინი-ბრანდენბურგის მედია რეგულირების დამოუკიდებელი ორგანოს მიერ კომერციულ მაუწყებლებზე გაცემული სუბსიდია არ შეესაბამებოდა იმ პრინციპებს, რომელიც დადგენილი იყო ევროპის კავშირის ფუნქციონირების შეთანხმების 107(1) მუხლით. კომისიის ხედვით, გაცემული დახმარება არ იყო შესაბამისი საერთო ბაზრის მოთხოვნებთან და დახმარება არ ემყარებოდა არანაირ

გადართვის ხარჯების გაანგარიშებას. დაფინანსების განსხვავებული მოცულობა გაცემული იყო იმ მაუწყებლებზე, რომელთა მხრიდან ხარჯების ობიექტური დასაბუთება არ იყო წარდგენილი, იმ დროს როდესაც მათ უკვე მიღებული ჰქონდათ უფასო ციფრული მაუწყებლობის ლიცენზიები. აღნიშნული სუბსიდიები, როგორც პლატფორმის შიგნით, პირდაპირ ხელყოფდა კონკურენციას, ასევე ირიბად უწყობდნენ ხელს მას სხვა კონკურენტულ პლატფორმებთან შედარებით (კაბელი, სატელიტი), რაც ეწინააღმდეგებოდა ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის პრინციპს.

ევროპის კომისიამ დაადგინა, რომ გაციფრულების პროცესი შესაძლოა დაყოვნდეს, თუ ამ პროცესს მივანდობთ მხოლოდ ბაზარის განვითარებას და მის მოთამაშეებს, ხოლო სახელმწიფო ინტერვენცია აუცილებელია მომხმარებლების ფინანსური მხარდაჭერის, ციფრული მაუწყებლობის შესახებ საინფორმაციო უზრუნველყოფის, ასევე აუცილებლობის შემთხვევაში ბაზრის "ჩავარდნის" თავიდან ასაცილებლად მაუწყებლების ან/და საქსელო პროვაიდერების სუბსიდიებით, ასევე იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს სოციალური და რეგიონალური ინტეგრაცია და ერთიანობა.

კომისიის მოსაზრებით, წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან მოახდინონ დემონსტრირება იმისა რომ:

- დახმარება წარმოადგენს ყველაზე საჭირო და აუცილებელ ინსტრუმენტს;
- მისი ოდენობა მინიმალურია და შეზღუდულია საჭიროებით;
- ზომა მნიშვნელოვნად არ ხელყოფს კონკურენციას.

ბერლინ-ბრანდენბურგის ქეისის შემთხვევაში არც ერთი ამ პირობებისაგან არ გვხვდება. მიუხედავად იმისა რომ კომისიამ დაადგინა გარკვეული პრობლემები ბერლინი-ბრანდენბურგის ადმინისტრაციულ ტერიტორიის სამაუწყებლო ბაზარზე, მან აღმოაჩინა რომ დახმარება არ იყო არც ყველაზე შესაბამისი ინსტრუმენტი და არც აუცილებელი ამ პრობლემის გადასაჭრელად. კომისიის გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია, არამარტო იმ გარემოების გამო, რომ განიმარტა დახმარების გამოყენების წესები ბერლინი-ბრანდენბურგის შემთხვევის მიმართ, არამედ იმ კუთხითაც, რომ კომისიამ მოახდინა ევრო კანონმდებლობის განმარტება და გასცა რეკომენდაციები, გაციფრულების პროცესში სუბსიდიების გაცემის პროცედურების შესახებ.

კომისიამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მის მიერ მოწონებულია ავსტრიის გაციფრულების ფონდის პრაქტიკა, რომელიც აფინანსებს რამდენიმე ღონისძიებას ციფრული მაუწყებლობის პროცესის ხელშესაწყობად, კერძოდ:

- საპილოტე პროექტების და კვლევითი აქტივობების დაფინანსება;
- ფიზიკური პირების სუბსიდირება, ყველა ციფრული პლატფორმის რისიკერების შესაძენად, დაბალ შემოსავლიანი მოსახლეობის საეთერო მაუწყებლობისაგან იზოლირების თავიდან ასაცილებლად, ასევე მომსახურებისათვის აუცილებელი კრიტიკული მასის შექმნა წამახალისებელი ზომების დაწერვით;
- საშუალება მიეცეთ კერძო კომპანიებს, დაენერგათ ინოვაციური ციფრული სამაუწყებლო სერვისები;
- დაიგეგმოს სუბსიდიები, რომელთა მიზანი უნდა იყოს მაუწყებლებისათვის მულტიქასტის პერიოდში დამატებითი, ორმაგი ხარჯების კომპენსირება.

კომისიის შეხედულებით, ამ ზომების, გარდა, ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოები ასევე უფლებამოსილი არიან, დაწერონ სხვა ზომებიც, რომლებიც არ დაარღვევს კონკურენციას, და არ მოახდენს უსაფუძვლო დისკრიმინაციას ტექნოლოგიების მიხედვით, ან კომპანიების მიხედვით. მაგალითისათვის, ღია პროგრამული ინტერფეისის მქონე რისიკერების დაფინანსება სხვა კატეგორიის მომხმარებლებისათვისაც, საშუალებას მისცემს ფართოდ დაინერგოს ციფრული სამაუწყებლო ინტერაქტიული მომსახურების სახეებიც (ე.წ. electronic programme guides, news search, games ან e-commerce).

აღნიშნულის გარდა, წევრ სახელმწიფოებს შესაძლებლობა აქვთ დააფინანსონ ქსელების აგების მიმართულებაც, იმ ზონებში სადაც პრობლემურია, ან სავარაუდოა რომ გაძნელება სატელევიზიო სიგნალის გავრცელება. დაფინანსება შესაძლოა მოიცავდეს საზოგადოებრივი მაუწყებლობის გავრცელებას ყველა ციფრული სატრანსპორტო ქსელით, რომ მოიცვას მოსახლეობის მაქსიმუმს. ამ კონტექსტში შესაძლოა კვლევის საფუძველზე დადგინდეს იმ პლატფორმების ჩამონათვალი, რომლებიც უნდა იყოს ამ კონტენტით სავალდებულოდ მოცული.

კომისიამ ბერლინ-ბრანდენბურგის ქეისი გამოიყენა, როგორც პრეცედენტი სახელმწიფოს დახმარების საკითხების შეფასებისას.

გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, MABB, და FAB Fernsehen aus Berlin, მიმათა ლუქსემბურგის პირველი ინსტანციის სასამართლოს (დღევანდელი General Court) კომისიის წინააღმდეგ ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 263-ე მუხლის საფუძველზე, რადგან მიაჩნდა, რომ მის მიერ გაცემული დახმარება თავსებადი იყო საერთო ბაზრის მოთხოვნებთან და კომისიის მიერ დაშვებულ იქნა შეცდომები ევროპის კავშირის ფუნქციონირების შეთანხმების 107(3)(c) მუხლის განმარტებისას. მოსარჩელე მხარეებს ასევე მიაჩნდათ, რომ ევროკომისიამ შეზღუდა გამოხატვის თავისუფლება და დაარღვია კანონის მთავარი პრინციპები. 2009 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებით აღნიშნულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა წარდგენილი სარჩელები. საჩივარი არ დაკმაყოფილდა ასევე ევროპის იუსტიციის სასამართლოში 2011 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილებით.

### 3. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გაციფრულების სტრატეგიები

#### 3.1 ბოსნია და ჰერცეგოვინა (მოსახლეობა: 3 800 ათასი)

აღნიშნული ქვეყნის გაციფრულების სტრატეგია (2009 წელი) ადგენს, რომ მოსახლეობის სუბსიდია უნდა გამოყენებული იქნას ვაუჩერების სახით, რომელმაც უნდა დაფაროს რესივრების ღირებულების ნაწილი. სუბსიდირებამ მნიშვნელოვნად წახალისა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესი, ბოლო მომხმარებლების მიერ ციფრული მოწყობილობების შეძენის გაიოლების გზით. ჩაითვალა, რომ აღნიშნულის გამო, რისივრების კონცენტრაცია „გაყვება“ ბაზრის განვითარებას, რაც შედეგად მოიტანს გაციფრულების ადრეულ ეტაპზე სამაუწყებლო კონტენტის ეთერში განთავსებას და განავითარებს მულტიპლექსორის სიმძლავრეებთან დაშვების ბაზარს.

სუბსიდია დაუკავშირდა სატელევიზიო სააბონენტო მოსაკრებელს და მხოლოდ ის ოჯახები ვინც იხდიდა ამ მოსაკრებელს, იძენს უფლებას მიეღო შესაბამისი ვაუჩერი. აღნიშნულის გამო გაიზარდა მსურველების და შესაბამისად გადამხდელების რაოდენობაც, ხოლო მიღებული თანხები მიემართა გაციფრულებისაკენ. გაციფრულების პროცესის დამატებითი წახალისებისათვის და დაჩქარებისათვის, შეიზღუდა ექვსი თვით ვაუჩერის გამოყენების პერიოდი ციფრული მაუწყებლობის გაშვების დღიდან.

მაუწყებლების ციფრულ მაუწყებლობაზე სწრაფად გადასვლის წახალისებლად, რადიოსიხშირული სპექტრის გამოყენების სტრატეგია შეიცვალა, კერძოდ შემცირდა სალიცენზიო მოსაკრებელი, ხოლო ანალოგურის და ციფრულის ერთდროულად

მიმწოდებელი კომპანიების, საერთოდ განთავისუფლებდნენ სალიცენზიო მოსაკრებლისაგან.

ქვეყნის გაციფრულების სამოქმედო გეგმის მიხედვით, მთავრობის გადაწყვეტილებით გაციფრულების პროცესის დასაფინანსებლად (ასევე ბოლო მომხმარებლის მოწყობილობების დასაფინანსებლად) გამოიყო 1.4 მილიონი ევრო მარეგულირებელი ორგანოს ბიუჯეტიდან 2010 წლის ნოემბრისათვის (გამოუყენებელი სახსრები მარეგულირებლის მიერ). აღნიშნულის გარდა 2011 წლის სექტემბერში, მთავრობის გადაწყვეტილებით, რომელიც უკავშირდებოდა გაციფრულების პროცესში მრავალწლიანი ინვესტორების პროცესის დაგეგმვას (2011-2014), გათვალისწინებული იქნა 18,5 მილიონი ევრო.

პროექტის რეალიზაციისათვის დაფინანსება უზრუნველყოფილი იქნება შემდეგი სამი წყაროდან:

- ქვეყნის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად (2012-2014) განისაზღვრა 2 მილიონი ევრო (სულ 6 მილიონი);
- მარეგულირებელი ორგანოს მიერ დაგროვილი ზედმეტობებიდან მთლიანდ დაიგეგმა 8 მილიონი ევროს დახარჯვა 2014 წლამდე ამ მიმართულებით;
- რესურსები მიღებული ლიცენზიების განაწილებიდან 4.5 მილიონი ლარი (2012-2014 წლები).

### **3.2 ხორვატია (მოსახლეობა: 4 200 ათასი)**

ხორვატიის გაციფრულების პროცესი განსაზღვრულია მთავრობის მიერ დამტკიცებულ „ხორვატიის რესპუბლიკის ანალოგურიდან ციფრულ მაუწყებლობაზე გადართვის სტრატეგიით“ (Analogue to Digital Television Broadcasting Switchover Strategy for the Republic of Croatia). მე-8 კარი განსაზღვრავს სტრატეგიის ფინანსურ ნაწილს. მასში ჩამოთვლილია ის ძირითადი პუნქტები, რომლებიც ბიუჯეტიდან შეიძლება დაფინანსდეს, კერძოდ:

- ტექნოლოგიურად ნეიტრალური ციფრული რისივერების ვაუჩერები, იმ ფიზიკურ პირებზე, ვინ იხდიან სამაუწყებლო მოსაკრებელს;

- ხარჯები, რომელიც უნდა დაიხარჯოს „ელექტრონული ხორვატიისათვის შექმნილი ცენტრალური სახელმწიფო ადმინისტრაციის“ მიერ, ფართო საზოგადოების ინფორმირებისათვის განკუთვნილ სოციალურ რეკლამაზე;

- ციფრული სტრატეგიის იმპლემენტაციის ხარჯები (ანალიზი, გამოკითხვები, საზოგადოებრივი აზრის კვლევა და ა.შ.)

სტრატეგიის შესაბამისად, რისივერებისათვის განკუთვნილი სახელმწიფო სუბსიდირება, მიზნად ისახავს მაქსიმალური რაოდენობის მომხმარებლების დაკავშირებას ციფრულ საეთერო ქსელთან, რაც შესაძლებელს გახდის ანალოგური მაუწყებლობა გამოირთოს 2010 წლის 31 დეკემბრამდე.

სტრატეგიის შესაბამისად, ელექტრონული ხორვატიისათვის შექმნილი ცენტრალური სახელმწიფო ადმინისტრაცია წყვეტს, თუ როგორ უნდა მოხდეს ბიუჯეტის სახსრების განკარგვა ზემოთ განსაზღვრული სამი მიმართულებით.

სტრატეგიის იმპლემენტაციის სტადიაზე, სახელმწიფომ გადაწყვიტა, რომ დაეფინანსებინათ მხოლოდ იმ ფიზიკური პირების ციფრული საეთერო რისივერების თანხები, რომლებიც ხორვატიის ტერიტორიაზე შეიძენენ ამ აპარატურას და იყვნენ საეთერო მაუწყებლობის მოსაკრებლის გადამხდელები. მთავრობის გადაწყვეტილებით განისაზღვრა ფიზიკური პირების სუბსიდირების კრიტერიუმები და სტანდარტები, საეთერო ციფრული რისივერების შეძენისას, კერძოდ:

- ხორვატიის საეთერო მაუწყებლობის მოსაკრების გადამხდელი თითოეული ფიზიკური პირი, უნდა დაფინანსებულიყო დაახლოებით 10 ევროს ეკვივალენტი ადგილობრივი ვალუტით, თუმცა საპილოტე რეგიონში - ისტრიაში 2007 წელს დარიგდა დაახლოებით 27 ევროს ეკვივალენტი ადგილობრივ ვალუტაში (რაც განპირობებული იყო რისივერის მაღალი ფასით იმ პერიოდში).

- სუბსიდირების უფლების რეალიზაცია უნდა მოხდეს ვაუჩერით, რომელიც სახელობითია და არ არის ბრუნვადი. მასში იწერება სახელი, გვარი, მისამართი, მოსაკრებლის გადამხდელის სარეგისტრაციო ნომერი, ასევე მისი გამოყენების საბოლოო ვადა;

- ვაუჩერების მიწოდება, უნდა მოხდეს ფიზიკური პირის საცხოვრებელ მისამართებზე, სახელმწიფოს მიერ შერჩეული კომპანიის მიერ (Transmitters & Communications Ltd);

- ვაუჩერის ბენეფიციარი სარგებლობს სუბსიდიით ციფრული რისივერის (ასევე ინტეგრირებული ტელევიზორის) შეძენისას.

- შერჩეული კომპანია (Transmitters & Communications Ltd.) ვალდებულია გადარიცხოს აპარატურის საცალო მოვაჭრის ანგარიშზე აპარატურის თანხა, მას შემდეგ რაც მას წარუდგენდნენ ბენეფიციარის მიერ ციფრული მოწყობილობის შეძენის დამადასტურებელ ფაქტს და ვაუჩერს;

ფიზიკურ პირებზე გაწეული სუბსიდიების მთლიანი თანხა - 12 მილიონი ევროს შესაბამისი ადგილობრივი ვალუტა, დაფარული იყო ორი წყაროდან: ხორვატიის ფოსტის და ელექტრონული კომუნიკაციების სააგენტოს ბიუჯეტის დარჩენილი თანხებიდან (2006-2008 წლებში), რამაც დაფინანსების 80% შეადგინა და ელექტრონული ხორვატიისათვის შექმნილი ცენტრალური სახელმწიფო ადმინისტრაციის ბიუჯეტიდან 20%. განსაკუთრებულ შემთხვევებში, ხორვატიის ფოსტისა და ელექტრონული კომუნიკაციების სააგენტო, წარმოადგენს სახელმწიფო სუბსიდიების გარანტორს.

სახელმწიფო სუბსიდიების დასაშვებობას ხორვატიაში აფასებს კონკურენციის სააგენტოს საბჭო, რომელიც გასცემს ნებართვას ფიზიკური პირების რისივერების სუბსიდირების თაობაზე. აღნიშნული საბჭომ დაადგინა, რომ რისივერების დაფინანსებით, შესაძლებლობა იქმნება, რომ სექტორი უფრო ეფექტურად იყოს გამოყენებული, რომ იზრდება ყველა ბოლო მომხმარებლისათვის ახალი სერვისების მიწოდების შესაძლებლობა, ანალოგურისგან განსხვავებით. კონკურენციისათვის საფრთხის არსებობის გამო, საბჭომ დაადგინა, რომ ბოლო მომხმარებლის ინტერესებიდან გამომდინარე, რომ ის უარყოფითად შეიძლება აისახოს მხოლოდ ანალოგურსა და ციფრულ მაუწყებლებს შორის გარდამავალ ეტაპზე, ასევე იმ ციფრულ მაუწყებლებს შორის კონკურენციაზე, რომლებიც თვითონ ახდენენ დეკოდერების შეძენა/დარიგებას. სატელევიზიო მოსაკრებლის გადამხდელი ბოლო მომხმარებლები სარგებლობენ სუბსიდირებით, მიუხედავად იმისა, თუ ციფრული რისივერი განკუთვნილია საეთერო, საკაბელო თუ სატელიტური მაუწყებლობის მომსახურების მისაღებად. ეს შეესაბამება ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის ძირითად პრინციპებს, რადგან აღნიშნული დაფინანსება არ მოახდენს პლატფორმათაშორისი კონკურენციის ხელყოფას და არ მიანიჭებს საეთერო პლატფორმას უპირატესობას. აღნიშნული მიზანი მიჩნეულია უფრო აღმატებულად, ვიდრე ტერმინალების სუბსიდირების ამოცანა და გაციფრულების სახელმწიფო ინტერესი.



ანალოგურიდან ციფრულზე გადართვის პროცესში, ჩართული იყო 1.1 მილიონი სატელევიზიო მოსაკრებლის გადამხდელი. გაცემული ვაუჩერების 39% განაღდა. დაფინანსდა DVB-T MPEG-2 რისივერების საბაზრო ღირებულების 50%. სტრატეგიის იმპლემენტაციის რეკლამირება და პრომოუშენი განახორციელა ელექტრონული ხორვატის ადმინისტრაციის ოფისმა, ხოლო ხარჯები დაფინანსდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

### **3.3 ალბანეთი (მოსახლეობა: 2 800 ათასი)**

ალბანური გაციფრულების სტრატეგია ითვალისწინებს სუბსიდიების გამოყენებას, ციფრულ მაუწყებლობაზე სწრაფი გადასვლის უზრუნველყოფად. სუბსიდიები ხორციელდებოდა ინვესტირების (საზოგადოებრივი სატელევიზიო ქსელების მშენებლობაში ძირითადად სახელმწიფო დაფინანსების, ან სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი იაფი კრედიტების გზით) და ფინანსური კომპენსაციების გაცემით მოსახლეობისათვის ტექნოლოგიურად ნეიტრალური და ღია სტანდარტების მოწყობილობების შესაძენად. დაბალშემოსავლიან ოჯახების დახმარება (მოსახლეობის 7%) მოხდა რისივერების დაახლოებით 40 ევროიანი დაფინანსებით.

### **3.4 ავსტრია (მოსახლეობა: 8 400 ათასი)**

ავსტრიაში საკანონმდებლო ორგანოს მიერ 2004 წელს, ციფრულ მაუწყებლობაზე სწრაფი და უმტკივნეულო გადასვლისათვის შეიქმნა გაციფრულების ფონდი. ფონდის რესურსები გაწერილი იყო მიზნობრივად. ფონდი დააფუძნა მარეგულირებელმა კომისიამ (Rundfunk und Telekom Regulierungs) და ის ივსებოდა ყოველწლიურად 6.75 მილიონი ევროთი მოსახლეობის სამაუწყებლო მოსაკრებლიდან და მაუწყებლების შენატანებით, თუმცა ძირითადად ფინანსდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან. სუბსიდიების მიღების მოთხოვნით, ფონდისათვის მიმართვის უფლება აქვთ მხოლოდ იმ კომპანიებს, რომლებიც საქმიანობენ ელექტრონულ მედია ბაზარზე (სამაუწყებლო ქსელის ოპერატორები, მაუწყებლები და ა.შ.). დაფინანსების მიმართვას თან დაერთვის პროექტებით, რომლებიც შესაბამისობაში მოდის ამ ფონდის სახელმძღვანელო პრინციპებთან. წარმოდგენილ ბიზნეს გეგმასთან დაკავშირებით ფონდის მაქსიმალური თანამონაწილეობა არის 50%. დაფინანსება გაიცემა ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის პრინციპით, ყველა ციფრული მაუწყებლობის პლატფორმისათვის. გრანტის გაცემის საკითხს წყვეტს მარეგულირებელი კომისიის მაუწყებლობის დეპარტამენტი, თუმცა საბოლოო განაწილება დამოკიდებულია კომისიის გადაწყვეტილებაზე. გაციფრულების აქტის

მე-9 მუხლის შესაბამისად, განსაზღვრულია ფონდის სახსრების გამოყენების მიზნები:

1. ტექნიკური და ეკონომიკური კვლევებისა და ანალიზის წარმოების პროგრამების დაფინანსება, რომლებიც ორიენტირებულია ბოლო მომხმარებელზე;
2. საპილოტე პროგრამების და კვლევის დაფინანსება სამაუწყებლო პროგრამების ციფრული პლატფორმით მისაწოდებლად;
3. დაფინანსება სატელევიზიო პროგრამების და სხვა დაკავშირებული დამატებითი სერვისების განსავითარებლად, რომლებიც ორიენტირებულია ციფრული საეთერო პლატფორმის გამოყენებით დამატებითი სამაუწყებლო სერვისების მიწოდებაზე და სცილდება სტანდარტულ სამაუწყებლო სერვისებს;
4. ღონისძიებები, რომლებიც შესაძლოა გამოყენებული იყოს, როგორც ფართო საზოგადოების ინფორმირების საშუალებები ციფრული მაუწყებლობისას;
5. ციფრული საეთერო გადამცემი ქსელის ინფრასტრუქტურის დაგეგმარების და ინსტალაციის დაფინანსება, რა დროსაც მხედველობაში უნდა იყოს მიღებული რეგიონების დაფარვისა და სიგნალის წვდომის მაჩვენებლების ოპტიმიზაცია;
6. დაფინანსება მიმართული ბოლო მომხმარებლის მხარეს დასამონტაჟებელი მოწყობილობების შეძენის მხარდაჭერისაკენ;
7. დაფინანსება, რომელიც ეხმარება მაუწყებლებს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის სწორად გაგებაში;
8. ზომები მიმართული იმ მომხმარებლების ფინანსური სტიმულირებისათვის, რომლებიც შესაძლოა ციფრული საეთერო მომსახურების მიმღები გახდნენ გაციფრულების საწყის ეტაპზე;
9. თავად მარეგულირებელ ორგანოების, ან სხვა ჯგუფების დაფინანსება გაციფრულების კონცეფციის შემუშავება-რეალიზაციისათვის, მონიტორინგისათვის.

ავსტრიის მარეგულირებელმა 2005 წელს გამოაქვეყნა სახელმძღვანელო პრინციპები გაციფრულების ფონდიდან გრანტების გაცემასთან დაკავშირებით, რომელიც მოწონებული იყო ევროკომისიის მიერ, სახელმწიფო დახმარების რეგულირების ფარგლებში. ავსტრიის დახმარების გაცემის წესები, ტექნოლოგიური პლატფორმის მიმართ ნეიტრალურია და ფოკუსირებულია შემდეგ საკითხებზე:

*ა) მომხმარებელზე ორიენტირებული ღონისძიებები: 40%*

ეს არის დაფინანსება, რომლებსაც დაეხმარება და დააჩქარებს ციფრულ მაუწყებლობაზე ბოლო მომხმარებლების გადასვლის პროცესს.

აღნიშნული მოიცავს გეგმებს, რომელიც წაახალისებს მსყიდველობისუნარიანი ბოლო მომხმარებელს გაციფრულების ადრეულ ეტაპზე მოახდინოს აუცილებელი აქტივობების გამოვლენა, რაც უმნიშვნელოვანესია ბაზრის განვითარების ხელშეწყობის კუთხით. უმნიშვნელოვანესად არის ჩათვლილი, იმ მოსახლეობის დახმარება, რომლებიც დაბალ მსყიდველობით ხასიათდებიან, რადგან არსებობს საფრთხე, რომ ციფრულ საეთერო სიგნალის მიმღები აპარატურის მაღალი ფასი, მათ ამ პროცესისაგან იზოლაციაში მოაქცევს. იმ კატეგორიის რისიკერები, რომლებიც განკუთვნილია, უფასო ციფრული მაუწყებლობის სიგნალების გარდა, სხვა დამატებითი მომსახურების მისაღებად, ასევე ექვემდებარება გრანტირებას.

*ბ) მაუწყებლებისათვის დამატებითი ხარჯების კომპენსირება - 20%*

ამ მიმართულების დაფინანსების მიზანს წარმოადგენს დამატებითი ხარჯების კომპენსირება იმ მაუწყებლებისათვის, რომლებიც წარმოემობათ ციფრულ მაუწყებლობაზე მიგრაციის პროცესში, კერძოდ ის ხარჯები, რომლებიც წარმოიშობა სიმულქასთის პერიოდში. მაუწყებლების მიერ ციფრული საეთერო მიწოდებისათვის აუცილებელი ინვესტიციები, რიგი ფაქტორების გამო შესაძლოა ასევე დასუბსიდირდეს. მაუწყებლების მიმდინარე ხარჯები ფინანსირებას არ ექვემდებარება. გაციფრულების კონცეფციაში გამოყოფილია დაფინანსების მოკლევადიანი პერიოდები (ექვსიდან 12 თვემდე თითოეული რეგიონისათვის), შესაბამისად დაფინანსების მთლიანი პერიოდიც შეზღუდულია ამ ვადის მიხედვით.

*გ) გაციფრულების დაჩქარებისა და გაიოლების კვლევის პროექტების დაფინანსება -20%*

სამაუწყებლო ბაზრის მდგომარეობის კვლევის და ანალიზის დაფინანსება, უმნიშვნელოვანესია განვითარების სწორი გზების განსაზღვრის საქმეში.

*დ) მარეგულირებლის მიერ განხორციელებული ადმინისტრირება და ინფორმირება - 20%*

ეს არის მარეგულირებლების იმ ხარჯების დაფინანსება, რომლებიც მიმართულია გაციფრულების კონცეფციის ჩამოყალიბებისაკენ (მათ შორის საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის ხარჯები, სიხშირეების მენეჯმენტის და დაგეგმარების, საზოგადოების ინფორმირების და სხვა დაკავშირებული ხარჯები). აღნიშნული აქტივობა მიცავს ციფრული მაუწყებლობის ყველა სტადიას.

ევროკომისიამ, მის 2005 წლის 16 მარტის (N622/03) Digitalisierungsfonds ქეისში, აღნიშნა, რომ ავსტრიის მთავრობის მიერ წარმოებული სახელმწიფო დახმარების პროცედურები და პრაქტიკა, მიჩნეული იქნა საუკეთესო პრაქტიკად. ავსტრიის პრაქტიკის მთავარ დადებით მხარედ ჩაითვალა ციფრული საეთერო მაუწყებლობისათვის საჭირო ტექნოლოგიების და აპლიკაციების დანერგვის დაფინანსება, ასევე გადართვის პროცესის ხელშეწყობა.

წლიური ბიუჯეტი გაციფრულების ყველა მიმართულების დასაფინანსებლად განისაზღვრა წლიურად € 7.5 მილიონი ევროთი. დაფინანსება პირველ რიგში მიმართულია ციფრული სამაუწყებლო ქსელისკენ, თუმცა ყურადღების მიღმა არარის დარჩენილი გაციფრულების პროცესი სხვა პლატფორმები.

### 3.5 უნგრეთი (მოსახლეობა 9.9 მილიონი )

უნგრეთის გაციფრულების მარეგულირებელი აქტის 44-ე მუხლის შესაბამისად (Hungarian Digital Switchover Act) განსაზღვრულია, რომ საზოგადოებრივი კონტენტის მიწოდების უზრუნველსაყოფად, უნდა განხორციელდეს რისივერების სუბსიდირება, ანალოგური სერვისის გამორთვის პერიოდში, სამი თვიანი მაქსიმალური ვადით, კონკურენტულად ნეიტრალური პირობებით. სუბსიდიები უნდა განხორციელდეს მხოლოდ კონკრეტული მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში, ასევე კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში და დასაბუთებული ოდენობით, მხოლოდ განსაკუთრებული სოციალური სტატუსის/მდგომარეობის ოჯახებისათვის, რომლებიც იღებდნენ ანალოგურ საეთერო მაუწყებლობას.

უნგრეთის გაციფრულების სტრატეგია, სუბსიდირების მიზნებისათვის, განსაზღვრავს სამ მიმართულებას:

#### ა) ქსელის განვითარების სუბსიდიები

სამაუწყებლო ფონდი, რომელსაც მართავს უნგრეთის ტელევიზიისა და რადიოს ეროვნული კომისია (ORTT <http://mediatanacs.hu/>), წარმოადგენს დამოუკიდებელ ფონდს, რომლის მიზანია საზოგადოებრივი მაუწყებლობის და პროგრამების, საზოგადოებრივი და არაკომერციული მაუწყებლების მხარდაჭერა, ასევე იმ სხვა ამოცანების გადაჭრა, რომელიც განსაზღვრულია სამაუწყებლო კანონმდებლობით (the Radio and Television Broadcasting Act). კანონი ამომწურავად ჩამოთვლის ფონდის რესურსების გამოყენების საკითხებს, კერძოდ ფონდიდან იფარება:

- საზოგადოებრივი მაუწყებლების ოპერირების ხარჯები;
- ORTT და საზოგადოებრივი მაუწყებლების მაკონტროლებელი ორგანოს ხარჯები;
- ხარჯები, რომლებიც უკავშირდება მარეგულირებლის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული მიმართულებებით კონკურსების/ტენდერების წარმოებას.

მარეგულირებელი კანონი პირდაპირ განსაზღვრავს, რომ მაუწყებლობის ლიცენზირების საფასურის მესამედი უნდა დამისამართდეს სამაუწყებლო ფონდში, ხოლო ეს შემოსავლები უნდა მოხმარდეს მხოლოდ მაუწყებლობის განვითარებას.

### *ბ) რისიკების სუბსიდიები*

ამ ტიპის სუბსიდირებისათვის დადგენილა შემდეგი მოთხოვნები:

- სუბსიდირება უნდა იყოს ტექნოლოგიურად ნეიტრალური და არ უნდა ზღუდავდეს კონკურენციას;
- სუბსიდირების საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ პირის სოციალური მდგომარეობა;
- უნდა დაფინანსდეს იმ რისიკების შექმნა, რომლებიც მაქსიმალურად ინტეროპერაბელურია და ინტერაქტიული;
- ისინი თავსებადი უნდა იყოს MPEG4 სტანდარტთან.

პლატფორმის და კონკურენციის მიმართ ნეიტრალურობა, ნიშნავს რომ ფონდის სახსრების ხარჯვა არ არის დაკავშირებული კონკრეტული პლატფორმის რისიკების შესყიდვასთან, თუმცა დახმარება შესაძლოა მიემართოს იმ პლატფორმის მიმართ, რომელსაც ყველაზე მეტად სჭირდება სუბსიდირებას და შენაცვლებადია ანალოგური მაუწყებლობის სერვისთან (DVB-T, DVB-S, DVB-C, IPTV) მომხმარებლის არჩევანით.

საბოლოო გადაწყვეტილება სუბსიდირების აუცილებლობის და ფორმების შესახებ უნდა მიღებული იყოს მულტიპლექსირების ტენდერის დასრულების შემდეგ, რადგან საკონკურსო პირობებში შესაძლოა წარმოდგენილი იყოს წინადადება რისიკების დაფინანსების შესახებ. თუ სახელმწიფო ჩარევა აუცილებელია, ის უნდა განხორციელდეს მხოლოდ კვლევის საფუძველზე, სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე.

### 3.6 იტალია (მოსახლეობა 60 მილიონი)

2004 წლის ბიუჯეტით, იტალიამ განსაზღვრა სახელმწიფო სუბსიდია €150 ყველა სამაუწყებლო მომსახურების მიმღებისათვის, უფასო საეთერო მაუწყებლობის სიგნალების მისაღებად. სუბსიდიების მთლიანი რაოდენობა განისაზღვრა 110 მილიონი ევროს ფარგლებში. 2005 წელს რისივერების სუბსიდირების თანხა შემცირდა 70 ევრომდე, ბიუჯეტში გაწერილი თანხის შემცირების გარეშე. სუბსიდირების ფარგლებში მომხმარებელს შეეძლო მოეხდინა რისივერის შეძენა ან დაქირავება. სუბსიდია არ ეხებოდა ციფრულ სატელევიზიურ მიმღებების შეძენას.

ევროკომისიის 2007 წლის გადაწყვეტილებით, რადგან ეს სუბსიდიები წარმოადგენდა სახელმწიფო დახმარებას, ის შესაძლოა გამოყენებული ყოფილიყო ფასიანი ციფრული საეთერო ქსელების მომხმარებლების მიერაც. ევროკომისიამ ასევე დაადგინა, რომ იტალიის მიერ დანერგილი ღონისძიება არ იყო ტექნოლოგიურად ნეიტრალური, რადგან ის არ იყო გამოყენებული სატელევიზიური ციფრული რისივერების/დეკოდერების მიმართ.

2006 წელს, იტალიამ მიიღო ახალი ზომები 50 ევროიანი სუბსიდირების შემოღებით, სარდინიის და აოსტას რეგიონის მიმართ ინტეგრირებული ციფრული ტელევიზორების ან რისივერების სუბსიდირების შესახებ. ფინანსდებოდა ტერმინალი, თუ ის იძლეოდა პირდაპირ და შეუზღუდავ რეჟიმში უფასო კონტენტის მიღების შესაძლებლობას, ასევე ინტერაქტიული წვდომის შესაძლებლობას ღია გამოყენებითი პროგრამული ინტერფეისით.

ფასდაკლება ხორცილდება შესყიდვის ადგილზე საცალო მოვაჭრესთან, რომლებსაც შემდგომ უნაზღაურდებათ გაწეული შეღავათის თანხა.

დახმარების განხორციელება ხდება გარკვეული კრიტერიუმებით (რომლებიც შესაძლოა განსხვავებული იყოს კონკრეტული რეგიონის მიხედვით) კერძოდ:

- თუ შემძენის ასაკი მინიმუმ 65 წელია;
- თუ შემძენის წლიური შემოსავალი ნაკლებია 10,000 ევროზე;
- თუ მომხმარებელი იხდის ანალოგური საეთერო ტელევიზიის მოსაკრებელს.

ევროკომისიამ გადაწყვიტა, რომ იტალიის მიერ 2006 წელს მიღებული გადაწყვეტილება არ არღვევდა ევროკავშირის შეთანხმებას და ევროკავშირის

რეგულირებას სახელმწიფო დახმარების რეგულირების შესახებ, რადგან ისინი შეეხებოდა ყველა დეკოდერს და მიდგომა იყო ტექნოლოგიურად ნეიტრალური და ქვეყანაში არსებული მდგომარეობის თანაზომადი იყო.

იტალიის საკითხის განხილვისას საინტერესოა 2005 წლის 21 დეკემბერს ევრო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება N C52/05 (Contributi ai decoder digitali). 2007 წლის 24 იანვრის კომისიის გადაწყვეტილება. შეეხება სახელმწიფო დახმარებას, რომელიც გაწეული იყო იტალიის მთავრობის მიერ ციფრული დეკოდერების შესაძენად. იტალიის კანონმდებლობით დადგინდა სახელმწიფო გრანტი 150 ევროს ოდენობით იმ ბოლო მომხმარებლებისათვის, რომელიც იძენენ ან იჯარით იღებენ ციფრულ რისივერს ან დეკოდერს. ამ მიზნით, ბიუჯეტში განისაზღვრა 110 მილიონი ევრო. ღონისძიება იყო ძალიან წარმატებული და დაახლოებით 2 მილიონმა იტალიელმა ისარგებლა ამ შემოთავაზებით.

### 3.7 მონტენეგრო ( მოსახლეობა 600 ათასი)

მონტენეგროს ციფრული მაუწყებლობის კანონი (2011 წლის ივლისი), ითვალისწინებს პირველი ნაციონალური ციფრული ქსელის ფინანსირებას, ციფრული მაუწყებლობის პროცესის დაჩქარების მიზნით. დადგინდა, რომ სახელმწიფო კომპანია -"რადიო სამაუწყებლო ცენტრი" (Radiodifuzni centar (Broadcasting Centre; RDC) უნდა განსაზღვრულიყო, როგორც პირველი მულტიპლექსირების და სამაუწყებლო ქსელების ოპერატორი, და მას უნდა დაკისრებოდა ეროვნულ დონეზე საზოგადოებრივი კონტენტის გავრცელების ვალდებულება. კანონმა პირდაპირ განსაზღვრა, რომ სახელმწიფო და სხვა წყაროებიდან (ევროკავშირი) მიღებული ფინანსური რესურსები უნდა გამოყენებულ იყოს პირველი ნაციონალური (მოსახლეობის 85%-იანი დაფარვის ვალდებულება) დაფარვის ციფრული საეთერო სამაუწყებლო ქსელისათვის და იმ დამატებითი ხარჯებისათვის, რომელიც სიმულქასტის პერიოდს უკავშირდებოდა.

მხედველობაშია მისაღები, რომ დადგინდა ასევე, რომ უნდა მომხდარიყო კომერციული მაუწყებლების ხარჯების მინიმალიზაცია, რაც ამ მაუწყებლებისათვის ერთერთ უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენდა. ეს ნიშნავს, რომ სიმულქასტის პერიოდში, არსებული კომერციული მაუწყებლები განთავისუფლებული იყვნენ პირველი ეროვნული მულტიპლექსორის ქსელის მეშვეობით მათი სიგნალის გავრცელების ანუ დაშვების ტარიფის გადახდის ვალდებულებისაგან, იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც ელექტრონული კომუნიკაციების და ფოსტის სერვისების სააგენტოს მიერ გაცემული იყო მაუწყებლობის უფლება (სიხშირის

გამოყენების უფლება) ანალოგური საეთერო გადამცემებით. აღნიშნული დაშვების მომსახურების ხარჯები უნდა დაიფაროს სახელმწიფოს და სხვადასხვა ფინანსური მექანიზმების გამოყენებით.

მონტენეგრო, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, ანალოგურიდან ციფრულზე მიგრაციის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა იყო რისივერების დაბალი კონცენტრაცია მოსახლეობაში. აღნიშნული საკითხის დარეგულირებული კანონმდებლობით 2011 წელს არ იყო.

მოსალოდნელია, რომ მონტენეგროს გაციფრულების სტრატეგია დაადგენს, რომ სწრაფი გადართვის უზრუნველსაყოფად, მოხდება დაბალ შემოსავლიანი მოსახლეობის ციფრული სიგნალის რისივერების სუბსიდირება. გარდა აღნიშნულისა, ოჯახები, რომლებიც არსებული მდგომარეობის გამო დამოკიდებული არიან საეთერო მაუწყებლობაზე, ასევე მოხვდებიან სუბსიდირების პროგრამაში რისივერების შესაძენად. ამ მიზნით, სანამ შეიცვლება შესაბამისი კანონმდებლობა, ქვეყანაში დაგეგმილია სპეციალური სტიმულირების ფონდის შექმნა ინფრასტრუქტურის განახლება-განვითარების, ასევე რეგიონულ და მცირედ დასახლებულ არეალში ციფრული მაუწყებლობის სიგნალების მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით.

#### **4. რეკომენდაციები საქართველოს გაციფრულების პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად დახმარების კუთხით**

ციფრული გადართვის პროცესში სახელმწიფო დახმარების ძირითადი ბენეფიციარები არიან: მომხმარებლები და ფიზიკური პირები ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ კომპანიები, ვინც ახორციელებენ სამაუწყებლო მომსახურებას, მართავენ მულტიპლექსორებს და სატრანსპორტო გადამცემ ქსელებს. რეკომენდირებულია, რომ დახმარების ოდენობა/სქემა/ჯგუფები შეირჩეს ქვეყნის მდგომარეობის შესაბამისად. სასურველია, რომ დახმარების პოლიტიკის ჩამოყალიბებისას უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 107-ე მუხლთან.

##### **4.1 დაფინანსება მომხმარებლის დონეზე**

მომხმარებლების დონეზე დაფინანსების სქემების განხილვისას ამოსავალი წერტილია ის რომ:



- უზრუნველყოფილი იყოს მომხმარებლების ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა მის ადრეულ სტადიაზე, ე.წ. კრიტიკული მინიმალური მასის „ასაკრეფად“;
- დაეხმაროს დაბალშემოსავლიან მომხმარებლებს შეიძინონ რისიკერები ან სხვა მოწყობილობები ციფრული წვდომის ტერმინალები.

საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე მაქსიმალურად მოკლე დროში სამინისტროსა და მარეგულირებელი კომისიის მიერ, შესაბამისი სახელმწიფო უწყებების და ორგანოების მხარდაჭერით, უნდა ჩატარდეს შესაბამისი კვლევა და დადგინდეს, თუ როგორი დაფინანსების სქემა უნდა იყოს შერჩეული და რა მოცულობის თანხები იქნება აუცილებელი ამ მიზნების მისაღწევად, და როგორი ფორმის დახმარების გაცემაა აუცილებელი. პირველ რიგში, უნდა გაირკვეს რამდენი მომხმარებელია დაკავშირებული საეთერო მაუწყებლობასთან, ან რა რაოდენობის მომხმარებლებს აქვთ საკაბელო, ინტერნეტ ტელევიზიის, ან სატელიტური რისიკერები, ეს საშუალებას მოგვცემს განისაზღვროს ის რაოდენობა რისიკერებისა, რაც მოკლევადიან პერიოდში არის აუცილებელი საქართველოსათვის, რეგიონების ან რაიონების ჭრილში. უნდა ასევე განისაზღვროს, თუ როგორი იქნება ნებაყოფლობითი შესყიდვების რაოდენობა მოსახლეობაში და ბიზნეს სექტორში.

როდესაც იგეგმება დაფინანსების სქემა, მიზანშეწონილია:

- უფრო მჭიდროდ შეფასდეს იმ ქვეყნების მდგომარეობა, სადაც მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა, ლანდშაფტი და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები საქართველოს ანალოგიური მაჩვენებლების მსგავსია;
- საკითხის შესწავლისას გამოიკვეთოს მომხმარებლების ის რაოდენობა, რომლებიც ფლობენ ინტეგრირებული რისიკერების მქონე ტელევიზორებს.
- დაფინანსების საკითხზე ჩამოყალიბებისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნას დახმარების მოკლე პერიოდი.
- ვაუჩერების საკითხი სუბსიდირებისას უდავოდ არის საუკეთესო გზა, გადასახადების შემცირებასთან და ლიცენზიების მოსაკრებლის შემცირებასთან, მიმართებით, რომელიც რთულად აღქმადია ბოლო მომხმარებლისათვის, ამავდროულად შესაძლოა საფრთხეები შეექმნას საზოგადოებრივი მაუწყებლების დაფინანსებას. თუმცა ვფიქრობთ, რომ კვლევის საფუძველზე უნდა დადგინდეს პირთა კატეგორიები, მომხმარებლების რაოდენობა და დაფინანსების ოდენობის გრადიენტი და დახმარების მეთოდები.

- რისივერების შექმნის დაფინანსება მიზანშეწონილია იყოს ტექნოლოგიურად ნეიტრალური და რისივერის დაფინანსება უნდა მოხდეს პლატფორმის ტიპის მიუხედავად. სტანდარტები უნდა იყოს ღია და ინტერაქტიული სხვა ოპერატორების მომსახურების მისაღებად. სუბსიდიები უნდა იყოს მოკლე ვადიანი, ციფრულზე გადასვლის მოკლე პერიოდის გამო.

#### 4.2 დაფინანსება მაუწყებლებისათვის და საქსელო ოპერატორებისათვის

მაუწყებლებისა და საქსელო ოპერატორების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია, იქ სადაც არსებული ინფრასტრუქტურა განუვითარებელია ან გადატვირთული. ამავდროულად, საზოგადოებრივი მაუწყებლები და საქსელო პროვაიდერები, მოკლებული არიან შესაძლებლობას და ფინანსებს, მოახდინონ მნიშვნელოვანი ინვესტიციები, განსაკუთრებით სიმულქასთინგის პერიოდში.

იმის განსასაზღვრავად, თუ რომელი ტიპის დახმარებაა რეკომენდირებული გაციფრულების პროცესში, სასურველია დადგინდეს ევროკომისიის რეკომენდაციების, ასევე ევროპის იუსტიციის სასამართლოს გადაწყვეტილებების, ასევე მონტენეგროს, ავსტრიის პოლიტიკის გათვალისწინებით. სახელმწიფომ ასევე შესაძლოა დააფინანსოს სატრანსპორტო ქსელის მშენებლობა იმ რეგიონებში, სადაც სატელევიზიო სიგნალების გავრცელება არასათანადოა.

მათ, შესაძლოა, დააფინანსონ საპილოტე პროგრამები და საკვლევი აქტივობები, რომელიც უნდა განსაჯაროვდეს. სახელმწიფომ, მოსახლეობის მაქსიმალური წვდომის უზრუნველსაყოფად უნდა მოხდინოს ხარჯების გაწევა საზოგადოებრივი მაუწყებლობის კონტენტის ყველა სატრანსპორტო ქსელით გავრცელების უზრუნველსაყოფად.

სახელმწიფომ შესაძლოა მისცეს სუბსიდიები მაუწყებლების, იმისათვის, რომ კომპენსირდეს ის დამატებითი ხარჯები, რომლებიც სიმულქასტის პერიოდში აქვთ ამ პირებს გასაწევი. აღნიშნული დახმარების გაცემა უნდა მოხდეს ობიექტური კრიტერიუმების შეფასებით/შეჯერების საფუძველზე, ისევე როგორც უნდა გაიცეს გონივრული ანაზღაურება იმ მაუწყებლებზე, რომლებიც გაციფრულების პროცესის ხელშეწყობის მიზნით, უარს ამბობენ სიხშირულ ლიცენზიებზე მისი ვადის გასვლამდე.

უსასყიდლოდ მინიჭებული სიხშირული სპექტრის ლიცენზიები, ასევე უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო დახმარებად.

ყველა შემთხვევაში ამ დახმარების გაცემა უნდა მოხდეს გამჭვირვალედ, აუცილებლობის შემთხვევაში, პროპორციულობის პრინციპის და ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის პრინციპის დაცვით.

სახელმწიფო დახმარებით არ უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი რომელიმე კონკრეტულ ტექნოლოგიას, საკაბელო და სატელიტური პლატფორმის პარალელურად გახილვა უნდა მოხდეს (და თუ არ ჩაითვლება საჭიროდ, სუბსიდირება უნდა დასაბუთდეს).

დახმარება უნდა გაიცეს გადართვის პროცესში წარმოშობილი დროებით პრობლემების მოსაგვარებლად, ხოლო ბენეფიციარების შერჩევა უნდა მოხდეს წინასწარ ზუსტად განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად (საურველია კრიტერიუმი იყოს თანადაფინანსება, ბენეფიციარმა უნდა დაადასტუროს რომ თანადაფინანსების აუცილებლობა არსებობს).

დაფინანსების კრიტერიუმების ჩამოყალიბება უნდა განხორციელდეს ორ ეტაპად: პირველად უნდა ჩამოყალიბდეს კონკრეტული მიდგომა და ამოცანები რეგიონალური და სოციალური ინტეგრაციის კუთხით. დაფინანსების ოდენობის და ვადების დადგენისას ის საკმარისი უნდა იყოს კონკრეტული ამოცანების გადასაჭრელად (უნდა განისაზღვროს აუცილებელი მინიმუმის კრიტერიუმი).

სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს მაუწყებლების ის კატეგორია, რომლებიც უნდა მოხვდნენ გარკვეული შეღავათების მქონე მაუწყებლების კატეგორიაში (მაგ: რეგიონული რეიტინგის მიხედვით), თუ დაისახავს მიზნად, რომ მნიშვნელოვანია ამ მაუწყებლების დახმარება. შესაძლოა ამ კატეგორიაში მოხვდნენ ასევე ახლად შემომსვლელი მაუწყებლებიც.

## წყაროები:

1. Guide to Digital Switchover <http://www.osce.org/fom/73720>;
2. Supporting the most vulnerable consumers through digital switchover: A report by the Ofcom Consumer Panel.  
[http://www.digitaltelevision.gov.uk/pdf\\_documents/publications/cp\\_dso\\_report\\_webv.pdf](http://www.digitaltelevision.gov.uk/pdf_documents/publications/cp_dso_report_webv.pdf)
3. სამომხმარებლო კალათა და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები  
<http://www.polity.ge/home/students-newspaper/orientiri/845-2009-07-07-13-24-39.html>
4. [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=151&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=151&lang=geo)
5. ([http://ssa.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=610](http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=610))
6. J. Freeman, J. Lessiter, Vulnerable Consumers In Switchover – Who Are They And Where Do They Live? A report prepared by i2 media research ltd. for the Ofcom Consumer Panel, 2004.
7. Supporting Vulnerable Consumers with targeted assistance at and after Digital TV Switchover. A paper by the Consumer Expert Group on digital switchover for the Department for Culture, Media and Sport and the BBC, April 2006.
8. Of com consumer panel <http://stakeholders.ofcom.org.uk/binaries/research/tv-research/advice.pdf>)
9. [http://europa.eu/rapid/press-release\\_IP-05-1394\\_en.htm](http://europa.eu/rapid/press-release_IP-05-1394_en.htm) State aid: Commission rules subsidy for digital terrestrial TV (DVB-T) in Berlin-Brandenburg illegal; explains how digital TV can be supported).
10. Supporting the most vulnerable consumers through digital switchover: A report by the Ofcom Consumer Panel, November 2004
11. on interoperability of digital interactive television services  
<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=COM:2004:0541:FIN:EN:PDF>
12. COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE COUNCIL, THE EUROPEAN PARLIAMENT, THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE AND THE COMMITTEE OF THE REGIONS on the transition from analogue to digital broadcasting (from digital ‘switchover’ to analogue ‘switch-off’) [http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/site/en/com/2003/com2003\\_0541en01.pdf](http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/site/en/com/2003/com2003_0541en01.pdf)
13. P. Iosifidis, Digital Switchover in Europe, The International Communication Gazette
14. Digital Switchover in Broadcasting A BIPE Consulting Study for the European Commission (Directorate General Information society  
[http://ec.europa.eu/information\\_society/topics/telecoms/regulatory/studies/documents/final\\_report\\_120402.pdf](http://ec.europa.eu/information_society/topics/telecoms/regulatory/studies/documents/final_report_120402.pdf)
15. „საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსება იზრდება“. წყარო მედია.გე  
<http://www.media.ge/node/24686>
16. Cf. Digital UK’s ten transferable lessons from the UK’s digital television switchover programme, May 2010.
17. Recommendation R (2003)9 of the Committee of Ministers to Member States on measures to promote the democratic and social contribution of digital broadcasting.

18. State aid NN 64/2005 – United Kingdom Digital Replacement Licences C(2006)83 final, [http://ec.europa.eu/eu\\_law/state\\_aids/comp-2005/nn064-05.pdf](http://ec.europa.eu/eu_law/state_aids/comp-2005/nn064-05.pdf).
19. The rules on de minimis might be relevant for the assessment of this prerequisite. See Commission Regulation (EC) No 1998/2006 of 15 December 2006 on the application of Articles 87 and 88 of the EC Treaty to de minimis aid, OJ L 379, 28.12.2006.
20. OJ C 257, 27.10.2009  
<http://eurlex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:C:2009:257:0001:0014:EN:PDF>
21. Case C(2005)3903 final). OJ 2006 L 200, p. 14. See the Commission's press release IP/05/1394 of 9 November 2005, 33 (46 See, for example, decision C 33/06 DVB-T in Bavaria of 23/10/2007. In the case of introduction of DVB-T in North Rhine-Westphalia (decision of 23 October 2007), the formal proceedings were closed due to termination of the contested measure.).
22. C-544/09 Federal Republic of Germany v. European Commission
23. Digital Istria-igormatic digital divide in istria;
24. "Analogue to Digital Television Broadcasting Switchover Strategy for the Republic of Croatia"  
[http://www.itu.int/ITU-D/tech/OLD\\_TND\\_WEBSITE/digital-broadcasting\\_OLD/Bulgaria\\_Assistance\\_Transition/Croatia/Strategija-DTV-ENG-final.pdf](http://www.itu.int/ITU-D/tech/OLD_TND_WEBSITE/digital-broadcasting_OLD/Bulgaria_Assistance_Transition/Croatia/Strategija-DTV-ENG-final.pdf)
25. European Commission decision of March 16, 2005, C (2005) 586 fin
26. Allocation concept for grants of the Digitization Fund of RTR-GmbH for the period 2006 to 2010, Vienna, December 2005, pp. 4-6.
27. ( Hungary Development Plan for 2007-2013 (NFT II.)  
[http://www.nfu.hu/the\\_new\\_hungary\\_development\\_plan\\_](http://www.nfu.hu/the_new_hungary_development_plan_)
28. (51 51 A grant for the decoder was later changed to € 70. Some further prices were set for the set-top-boxes purchased in Sardinia and Valle d'Aosta.)
29. The Montenegrin Digital Switchover Strategy- Montenegro BROADCASTING AGENCY COUNCIL Ref: 01 – 786 Podgorica, 10.04.2008)